



# ს რ ი მ ა

ო რ კ ვ ი რ ი უ ლ ი ს ა მ ხ ა ბ ვ რ ო - ს ა ლ ი ბ რ ა ბ უ რ ო შ უ რ ნ ა ლ ი

**განცხადების ტარიფი:**

ერთი ვერდი . . . . . 150 მ.  
 ნახევარი ვერდი . . . . . 75 მ.  
 მკითხველი ვერდი . . . . . 50 მ.

**ხელის მოწერა:**

ერთი წლით . . . . . 10 მან.  
 სამი თვით . . . . . 3 " "  
 ცალკე ნომერი ყველგან . . . . . 50 ჰ.

**რედაქციის მისამართი:**

ბრუსელის ქ. № 22.

**კონტორის მისამართი:**

განათლების სახ. კომისარიატი, სახელ-  
 გამი.  
 მიიღება ხელის მოწერა დილის 8-2 ს.

№ 25

გეოგრაფიული სახმებაბათი 22 იანვარი, 1925 წ.

№ 25

კონსტანტინე  
ქაი. მარტოვი  
ტრუხიძე

ლ 2 6 0 6 0

როგორც ისტორიის სიღრმეიდან ამოვარდნილი ურ-  
განი ისე შემოიჭრა იგი ბურჟუაზიულ სამყაროში.

საძირკველში შეარყია თანამედროვე მსოფლიო.  
მან შეაჩერა ჩვეულებრივი დენა ცხოვრებისა საუ-  
კუნეთა განმავლობაში და უფსკრულის საზღვარი გაე-  
ლო მთ შორის.

**რაც იყო**

**და რაც უნდა იყოს.**

როგორც ისტორიული ევრესტი ისე აღმართულა  
იგი მიუწოდებლის სინაღლით წარსულსა და მომავალს  
შორის.

მან ერთს შეტევით გადააფხა ყოველივე საგანძუ-  
რი, რაც ათასის წლობით იკრიბებოდა ცხოვრების სა-  
ლაროში და ცეცხლის ასოებით ნაწერი დევიზები სტყარ-  
ცნა მსოფლიო განახლების ცას.

შეუვალ ციხე-ქალაქად აქცია უსახლეოთ გაქენ-  
ბული ველები რუსეთისა.

და ამ ციხე-ქალაქში დაამკვიდრა შტაბი მსოფლიო  
რევოლუციისა.

აქ აღიმართა ვულკანიურის ძლიერებით ბუნება მი-  
სი და აქედან სთესავდა ცეცხლს ცეცხლზე დეღამიწის  
ზურგზე, რომ დაეთო ჩაუქრობელი ხანძარი ძველი ქვეყ-  
ნის გადასაბუვათ.

გიგანტურ ამბოხებისთვის გაშლილი მკლავები მან  
შემოპხვია მიეღს დეღამიწის და თითქოს ასწია კიდევ  
ახალ სამყაროში გადასატყორცნად.

მისი თვალი გასცქეროდა მიეღ ქვეყნიერობას.  
მისი ყური ისმენდა მიეღ კაცობრიობას.

მისი სიტყვა მკვეთრ რადიით უვლიდა მიეღ დე-  
ღამიწის გასაქანს.

მისი საიერიშოდ ვახელებული ნებისყოფა არცეცა  
მიეღ მსოფლიოს.

ბრძოლის სათარეშოდ აირჩია საკაცობრიო ასპარეზი.

შრომის ფრთა-აყრილ რაშს გარდაალახენა ყოველ  
გვარი საზღვარი.

ამ რაშზე დაქროდა მეტეორივით მისი მოცეცხ-  
ლო ლანი და ჰრანავედა ყველა ქვეყნის შშრომელთა  
ჯარებს.

მან მიიტანა პირველი იერიში ბურჟუაზიულ რკინის  
კარბზე რუსეთის სამფლობელოში და შეანგრია კიდევ.

მან შექმნა უდიდესი ლაშქარი ფოლადურ ნების-  
ყოფით გამოკვერილი და დღეს ეს ლაშქარი უტეცს ათას-  
წლოვან წარსულს, მიეღ კაცობრიობას.

და მიანგრეცს ქვეყნის ზურგს ახალ ცხოვრების შე-  
საქმენლად.

მან წარსულისა და მომავლის საზღვარზე შეაჩერა  
ყურადღება ისტორიისა.

ამ საზღვარის მთავრებელზე აღმართა გიგანტური  
ქანდაკება აღამინისა და მის აჩრდილმა დააბატარავე  
ყველა განმარტოვებული დიდებანი ისტორიისა.

დაუშოგავი მტერი ბატონობისა თვითვე გარდქეცა  
მპყრობელთა მიეღის კაცობრიობისა.

აზრით.

მოწოდებით.

ქეშმარიტებით.

მინობამის კედარსა და მიეწეულ სიმართლეს:  
შრომის ძლიერებასა და ბატონობას—

მან შთაბერა ცეცხლოვანი სული, აისხა აზჯარი და  
გაუძღვა წინ

**გასამაჩვენებელ ბრძოლაში.**

მან ძლიერამოსილი საიდუმლოება ჩაადღა თავის  
სადა სიტყვებს, სადა აზრებს—და ყველას მიადღებინა  
ურყვევლ ქეშმარიტებად, გარდულახავ მსენებად.

მშრომელთა რანგები მთ ხმარობენ სადევნო ის-  
რებად, ცეცხლის ისრებად, რომლითაც ჰკვეთავენ და ან-  
თებენ საბრძოლველ წინარეს.



ღვინი სხვადასხვა ასაკში.

ქვეყნის უმართებულო მოღვაწე კი საშინელ ქარიშხ-  
 ლათ დაუტრიალდებთ თავიანთ მყუდრო სამფლობელო-  
 ში, გარღვევს მათ წინ უფსკრულსა ისტორიისას და  
 ემუჭრება იქ—

საბედისწერო ჩაღუპვით.

მისი სახელი შეიმოსა ჯერ არ-ხილული შარავანდე-  
 დით ძლიერებისა.

ქვეყნის თვალები მხოლოდ მას მისჩერებოდნენ.

როგორც მხსნელს,

როგორც მტერს.

კაცობრიობის ყურები მხოლოდ მას ისმენდენ.

როგორც მხსნელს,

როგორც მტერს.

მან გაამართლა აზრი თავისი მოვლენისა მსოფ-  
 ლიოში.

კაცობრიობა გააპო ორ პოლიუსად,

ორ მხარედ,  
 რომ იქცეს შემდეგ ერთ განუყრელ სამეფოდ—  
 შრომისა,  
 ღიდებისა,  
 სიმაართლისა.

მეხად მოვლენილი ძველი ქვეყნისთვის,  
 მეტეორათ მოქანებული განახლებულ მომავლისთვის,  
 იგი მოულოდნელად ჩამოწვა ზვიადი კლდესავით მსოფ-  
 ლიო რევოლუციის ოკეანეში.

დედამიწას რომ შესძლებოდა სიმძიმის განცდა,  
 ალბათ ისიც დაიკენესებდა მის დაზხოზაზე.

გლოვის რადიო შემოგრტყა შავ ხელეზათ სამყა-  
 როს. უმიზნობაში გაქანებული დედამიწა მან შეარყია  
 იცით რათ?

რადგან იმ მუჟას შეირყა ყველა ადამიანის გული,  
 ვინც კი სტკეპნის დედამიწის ზურგს.

ღვეან მებრეველი.

### სასტუმრო კრემლი

დგება მოსკოვი და ყინვა ცელსით,  
გადარბენილი ნოლს და ტროტუარს;  
სახურავებზე რქა გაშლილი გორობს ქარი  
და აქლემივით გადაჰკვივს ბიულეტენი.  
ბიულეტენი გულიდან— შრიფტი,  
სტირის ბურღივით მოხეთქილი სვეტის ტკივილზე;  
და — გაფორმება გუმის ვიტრინებს,  
ჩამოფორენილი მზის მესატრალე,  
ჩამოფორენილი მზის მესატრალე,  
როგორც კრემლიდან ნისლი და კუბო;  
სცემენ ქულ-ქედები, საკრავები მუცლის აპარატს  
და ცილინდრები იჭვირნენ პოზებს.  
ქალაქი ბამბის აკრობატიკა,  
ყინვა გამორბის ნოლს და ტროტუარს;  
შორს მამონტივით ღრილივებენ ქვეყნის ტრაურზე  
შორს მამონტები მიწას ღმუიან:  
— „ლენინი არ არის“,  
— „ლენინი მოკვდა“,  
რეკენ ტელეფონ-ტელეგრაფები:  
მოგვეც— „ტფილისი“  
— „ბერლინი“,  
— „ტოკიო“,  
კივის რადიო გვირამივით როსტის ბეჭიდან.  
ქალაქი ბამბის აკრობატიკა,  
ყინვა გადახტის შრიფტს და ტრამეაებს,  
კრემლის კედლები მატროსებით ჩაიძირება,  
რომ პორტრეტებმა ქალაღდების (კრემლი დაღვარონ.  
კივის რადიო გვირამივით როსტის ბეჭიდან,  
გადარბენილი ნოლს და ტროტუარს;  
შეტრიალდება ყინვის „ფოკერი“,  
მზე—სატრაურო როგორც შოფერი.  
და სადაც ვოლვა გაინაპირებს—  
გრძელი ზღაპრების მეღანხოლია;  
მეტყვიები მიმღერიან შვიის ქარავანს,  
მეტყვიები კოკონებზე სწვავენ ლაშქებს.  
დგება მოსკოვი და ყინვა ცელსით,  
გადარბენილი ნოლს და ტროტუარს;  
სახურავებზე რქა გაშლილი გორობს ქარი  
და აქლემივით კივის კრემლის ბიულეტენი.  
კან კაუ—  
კიუ კუ.

Коллекция  
Илл. Федосеева  
Тришукина

ვლადიმერ რეშეტაევი.

### ხუთი დღე და ღამე

ვიდრე მიწაში ჩაასვენებენ  
სამარადისოდ საყვარელ ცხედარს  
ბრწყინვალე დაიბახს შიამაბებენ  
ხუთ დღე და ღამის გადასახვევად.  
ამოსკდა გროვა გადაოფლილი  
ათქრიალებულ დროშების ქედზე,  
რომ დაეჩახათ მწვანე პროთელი  
დასვენებული ორდანიტ მკერდზე.  
მოსკოვი მწვარე კვილემა დასცა,  
მღწმარებაში ვანოისებული,  
თითქოს თავისთან შან გაიტაცა  
თბილი ნაწილი ჩვენი სხეულის.  
მოსკოვში ხუთი უძილო ღამე  
მისთვის ჩამარხეს თვალ არეული,  
და გაბრწყინებულ მწვარე წამებს,  
ღარაჯობს მთვარე ვით ყარაული.  
თარგმანი: გიორგი ლაგამარ.

# ემიგრაციიდან კიბურში

უკანასკნელი ზამთარი (1916—1917) ჩვენ გავატარეთ ციურისში. მზიარული არ იყო ჩვენი ცხოვრება. წყდებოდა კავშირი რუსეთთან: არ მოდიოდა წერილები, არც არაერთი ჩამოდიოდა იქედან. ემიგრანტების კოლონიას, რომელიც იმ დროს მკერერეკოვოვინა იყო ციურისში, ჩვენ, ერთხელ მიღებულ ჩვეულებას მიხედვით, ვერიდებოდით. მხოლოდ ყუველ დღე, ემიგრანტების სასაილოდან წამოვლიდ, შემოირბენდა ჩვენთან ერთი წუთით გრიშა უსევიჩი, ახალგაზრდა კარგი ამხანაგი, რომელიც შემდეგ დაიღუპა ფრონტზე. დილაობით, თითქმის რევოლუციარულად მოდიოდა ჩვენთან „სათვისტომოს ძმის წული“ სიმ-შილის ნიადაგზე შემოვლილი ბოლშევიკი. ის დადიოდა იმდენად ჩამოხეული და ტალახით შეთიხნილი, რომ მას აღარ უშვებდნენ შვეიცარიის სამკითხველოებში. ის ცდილობდა შეეღებინა ილიჩს, რადაც პრინციპიალურ კითხვების გადასაჭრელად, მოდიოდა 9 საათზე, სანამ ილიჩი არ იყო წასული სამკითხველოში. რადგან ეს ინტერვიუები შემოვლ კაცთან ჩვეულებრივად მიგვიყვანდა იქამდე, რომ შემდეგ გეტყვოდნა „ყველაფერი ამ ქვეყანაში“, როგორც ამბობდა ერთი ნაცნობი ახალგაზრდა ქალი. ჩვენ სამკითხველოში წასვლამდე დარჩენილ დროს, ვატარებდით ტბასთან სეირნობაში.

ჩვენ ექვრობდით ბინას შვეიცარიის მუშათა წრეში. ოთახი მაინც და მაინც ვერ იყო მიზანშეწონილი. ეს იყო ძველი მოღუშული სახლი, აშენებული ალბათ XVI საუკუნეში; ფანჯრების გაღება შეიძლებოდა მხოლოდ ღამით, რადგან ამ სახლში იყო ძხევის ქარხანა და ეზოდან სცემდა დამავალი ძხევის ბუტანელი სუნი.

შეიძებოდა, რასაკვირველია, იმავე ფასში გეშოვა გაცილებით უკეთესი ოთახი, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასნი იყვნენ ამ სახლის პატრონები. ესენი იყვნენ ნამდვილი მუსეები, რომელთაც სასტიკათ სძულდათ კაპიტალიზმი და ინსტინქტურათ ჰიცხავდენ იმპერიალისტურ ომს. ჩვენი ბინა ჰქმნარიტათ „ინტერნაციონალური“ იყო: ორ ოთახში ცხოვრობდნენ პატრონები—პროფესიით დურგალი და მეწაღე; ერთში გერმანელ ჯარისკაცი—მეზურე ცოლ-შვილებით; მეოთხეში—ვიღაც იტალიელი; მესამეში—ავსტრიელი აქტიონარები, ვასილკარ ქერა კაცით და შვითხეში—ჩვენ, რუსები. არავითარ შოენინში აქ არ ჰქონდა ადგილი. ერთხელ კი, როცა მე და სახლის პატრონი ქალი ვწვავდით სამზარეულოში გაზის პლიტაზე ნაპერხორს, მან აღშფოთებით წამოიხანა: „ჯარისკაცებმა უნდა მიატოვონ იარაღი თავის მთავრობის წინააღმდეგ“. ამის შემდეგ ილიჩს, გავიანებაც არ უნდოდა ოთახის გამოცვლის შესახებ, და განსაკუთრებული სიამოვნებით აძლევდა მას სალაშს.

საუბედუროდ, შვეიცარიის სოციალისტები, ვაცილებით ნაკლებ რევოლუციონურათ იყვნენ განწყობილი, ვიდრე მეუხის კოლო. ვლადიმერ ილიჩმა სცადა ერთხელ ინტერნაციონალურ მისშტაბით წარეგზარათა მუშოება. დაიწეს შეკრება მახლობლ ქუჩაზე, პატარა კაფე „Zum Adler“-ში: აქ თავს იყრიდნენ რამდენიმე რუსი და პოლიონელი ბოლშევიკი, შვეიცარიელი სოციალისტები, რამდენიმე წარმომადგენელი გერმანელ და იტალიელ ახალგაზრდობისა. პირველ კრებას დაესწრო დაახლოვებით

40 კაცამდე. ილიჩმა გაარკვია თავის შეხედულება ომზე, ჰკიცხავდა პროლეტარიატის საქმის მოლაპატე წინამძღოლებს და აგრეთვე არცედა მოქმედების გეგმას. თუმცა ინტერნაციონალისტები იყრიებოდნენ, მაგრამ უტხოველები ილიჩის გახედულებამ შეაფიქრინა. მახსოვს, შვეიცარიელი ახალგაზრდობის ერთი წარმომადგენელის სიტყვა, რომელიც ლაპარაკობდა იმ თემაზე, რომ უშუბლით კვლის ვარდევია შეუძლებელია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენს კრებებს თანდათან დამსწრეთა რიცხვი აკლდებოდა და მეოთხე კრებაზე მოვიდნენ მხოლოდ რუსები და პოლიონელები. იხუმრეს და თავთავიანთ სახლებში წაივინენ.

მიუხედავად ამისა ამ დროს ეკუთვნის უფრო მკიდრო კავშირი დამყარავდა ფრიც პლატენთან და ვილი თუნტენთან.

შემდეგი დროიდან მე მაგონდება ერთი სცენა, ჩვენ ერთხელ შემზხვევით მოვხვდით ციურისის მეორე უფრო ფეშენებელურ ნაწილში ღ ზეტარო წაყაწყული ნოხს, ციურ-



ლენინი

რისის სოციალისტური გაზთვის რედაქციას, რომელიც იმ დროს მემპრატენიობდა. ნოხსმა რომ დაინახა ილიჩი დააპირა ვითომდა ტრამევიში ჩაჯდომა.

ილიჩმა მაინც არ გაუშეა, მაგრამ ჩეკედა მის ღილს და დაუწყო თავის შეხედულების გარკვევა მსოფლიო რევოლუციის აუცილებლობის შესახებ. კომიკური იყო ნოხსის ფიგურა, რომელმაც არ იცოდა როგორ გასკლოდა დაუტხოვმელ უკრ ოპორტუნისტს, მაგრამ ილიჩი გამშარებით ხელს რუსებს ნოხსის ღილს და ცდილობდა მის დაჯერებას. მე იგი ტრავიული მეჩენდა. არ აქვს გამოსავალი კოლოსალურ ენერგიას, იღუპება უკვლით შრომელთა მასებისადმი განსულტორული სიყვარული. უახლო ხდება ნათელი შეგნება სინამდვილის. და რატომღაც მე გამასხნდა ჩრდილოეთის თეთრი მგელი, რომელიც მე და ილიჩმა ვნახეთ ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში და რომელიც გალისი წინ ჩვენ დიდხანს ვიძიებთ. „ყველა მხეცები დროთა განმავლობაში ეჩვენებიან გალისი: დათვები, ვეფხები, ლომები“,—გვიხსნიდა ჩვენ დარაჯი. „მხოლოდ




თეთრი მგელი რუსეთის ჩრდილოეთიდან არასდრს არ ეჩვევა გალოს: იგი დღე და ღამე ეხეთქება გალის რკინის ზღუდეს“. და ნობსის დაჯერების ცდაც განა გალის ზღუდებზე თავის მტკრევის არ ემსგავსებოდა!

ჩვენ ვემზადებოდით სამეიხთველოში წასასვლელათ, როცა მოვიდა ამხ. ბრონსკი და გვიამბო თებერვლის რევოლუციის შესახებ; ილიჩი რაღაც დაიბნა, როცა ბრონსკი წავიდა და ჩვენც ცოტათი გონს მოვედით, გავეშურეთ ტბისავე, სადაც საგარის ქვეშ ყოველდღე აკრავდნენ ყველა შვეიცარიულ გაზეთებს. მართლაც დღემებში ადასტურებდნენ რევოლუციის რუსეთში.

ილიჩი ვეღარ ისვენებდა. მან სთხოვა ბრონსკის, გავგო, შეიძლებოდა თუ არა კონდრბანდისტის საშვალეებით გერმანიით რუსეთში წასვლა. მაღე გამოირკვა, რომ კონდრბანდისტს შეეძლო მხოლოდ ბერლინამდე მიეყვანნეთ. ამის გარდა, კონდრბანდისტი რაღაც ნაირათ დაკავშირებული იყო პარეუსთან, მასთან კი ილიჩს არ უნდა დაჰქონოდა რაიმე საქმე, რადგან იგი ომის დროს გადაიქცა სოციალ-შოვისისტად და თანაც ძლიერ გამდიდრდა. საჭირო იყო სხვა გზის გამოძებნა. რომელი გზის შეიძლებოდა ჰაერობლანით გადაფრენა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ შეეძლოთ სროლით ჩამოგვდება. ან

სად იყო ის გადისწერი ჰაერობლანი, რომელსაც შეეძლო მიეყვანეთ რევოლუციონურ რუსეთამდე? ილიჩს ღამე ძილი არ ეკარებოდა. ერთხელ ღამე მუქუნებოდა: „ოცი, მე შემიძლია წავიდე მუხჯ შვეიცარიის პასპორტით.“ მე გავეცინა და ვუთხარი: „არ მოიხრებდებ, შეიძლება ძილში დილაპარაკო. დაგისხზებოდაი კალეტები და სიზმარში წამოიძახებ: სკოლი, სკოლი“. აი, ამით გაივებნენ რომ შეეციული არა ხარ“. ყოველ შემთხვევაში, მუხჯი შვეიცარიის პასპორტით წასვლის გეგმა უფრო ადვილი განსახორციელებელი იყო, ვიდრე ჰაერობლანზე გაფრენა. ილიჩმა მისწერა თავის გეგმის შესახებ განეცკის შვეიცარიაში, მაგრამ აქედან, რასაკარგოდა, არაფერი გამოვიდა. მაღე გამოირკვა, რომ შვეიცარიაში ამხანაგების დახმარებით შეიძლებოდა გერმანიითი წასვლის ნებართვის აღება. ილიჩი ცდილობდა მოეწყო საქმე ისეთ, რომ არაფერი არ ჰქონოდა რაიმე შეთანხმების ხასიათი არა მარტო გერმანიის მთავრობასთან, არამედ გერმანულ სოციალ-შოვისისტებთანაც, ცდილობდა ყველაფერი იფრიდულიათ ჩამოყალიბებინა. ნაბიჯი მეტათ გაეცლილი იყო არა მარტო იმისათვის, რომ გვემუქებოდა ცილისწამება, სამომლოსათვის დოლატის ბრალდება, არამედ იმიტომაც, რომ არ ვიყავით დარწმუნებული, რომ გერმანია ბოლშევიკებს გაუშვებდა. ნამდვილათ. ბოლშევიკების შემდეგ წამოვიდნენ მენშევიკები და ემიგრანტების სხვა ჯგუფები, მაგრამ პირველად ნაბიჯის გადადგმას ვერავინ ბედადა.

როდესაც მოვიდა ბერნიდან წერილი, რომ ყველაფერი მოწყობილია და შეიძლება იქიდან გერმანიაში წასვლა, ილიჩმა მიიხარა: „წავიდეთ პირველ მატარებელში“. მატარებლის წასვლას მხოლოდ ორი საათი აკლდა. მე დავეკვიდნე. უნდა მოგვხებინა „მეიხთ სახლში“ ლიკვიდაცოცა, დაგვეტონებინა წიგნები სამეიხთველოში, გავგესტოვრებინა ანგარიში სახლის პატრონთან და სხ. ამტობი ვუთხარი ილიჩს. „წადი მარტო შენ, მე კი ხვალ წამოვიალ“. „არა, წავიდიო!“ გადაჭრით სთქვა მან. მოვახდინეთ „სახლის“ ლიკვიდაცოცა, შევკარით წიგნები, მოვახეთ წერი-



ლენინი.

ლები, გადავაგაგეთ თეთრეული და სხვა აუცილებელი ნივთები. ჩვენ წამოვედით პირველი მატარებლით. შეგვეძლო არ აეჭარებულყავით, რადგან აღდგომა იყო ამის გამო ჩვენი წასვლა როგორღაც შეფერხდა.

ბერნის სახალხო სახლში იწყეს შტერება წასვლელმა ბოლშევიკებმა: მივიდიოთი ჩვენ, ზინოვიევი, უსვიჩები, ინესა არანდა, ხარტონოვი, სოკოლნიკოვი, მიხა ცხაკაია და სხ. მოდიოდა ერთი ბუნდისტკა, საუცხოო თმა ხუტუტა ვაგით. ეს ბავშვი მხოლოდ ოთხი წლის იყო, სახელია რობერტი, მან არ იცოდა რუსული და ლაპარაკობდა მხოლოდ ფრანგულათ. ჩვენთან ერთად, როგორც რუსი, მოდიოდა რადეკი და გვაცილებდა პლატენი.

გაზზე, ჩვენ არ გვილაპარაკნია არც ერთ გერმანელთან. ბერლინის ახლოს ცალკე უბნში დასხდნენ გერმანელი ს. დ., მაგრამ მათთან არცერთ ჩვენგანს არ დაუწყია ლაპარაკი, მხოლოდ რობერტმა შეიხება მათ კუბში, და ეკითხებოდა: „Le conducteur est-ce que il fait?“. არ ვიცი უთხრეს გერმანელებმა რობერტს, თუ რას აკეთებდა კონდუქტორი, მაგრამ ბოლშევიკებისათვის შეკითხვების მიცემა კი მათ ვერ მოახერხეს. ჩვენ ვიყურებოდით ვაგონის ფანჯარებიდან, და გვაკვირებდა ის, რომ მამაკაცები სულ არ სჩანდნენ: მხოლოდ ქალები და ბავშვები იყვნენ ქალაქში და სოფელშიც. საიღის ჩვენ გვაძვედნენ ვაგონში—მოქონდათ კატლეტი მუხულოთი. ალბათ უნდალდა ეჩვენებინათ, რომ გერმანიაში ყველაფერი ბლომათ იყო. გერმანია მშვიდობიანათ იყო. გერმანია მშვიდობიანათ ვაგვიართ.

სტოკჰოლმში ჩვენ შეგვხდნენ სიტყვებით, დარბაზში გამოიტანეს წითელი დროშა და მოაწყვეს კრება. რაღაც სუსტათ მახსოვს სტოკჰოლმი. არაფერი არ მახსოვს, რადღაც ფიქრით რუსეთში ვიმყოფებოდი. ფინურ „სიტყვებით“ გადავიდით საზღვარზე, უკვე ყველაფერი აკეთობარ და საყვარელი იყო: მესამე კლასის ცული ვაგონები, რუსი ჯარისკაცები. ყველაფერი ეს მეტათ კარგი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ, რობერტი უკვე ვიღაც ხანში შესულ

## 3. ი. ლენინი

დავხაროთ ბაირაღები, და მაგარ კუნთებით  
 მჭიდრო ნაბიჯში ნაბიჯი ჩადგათ,  
 ცეცხლის სახელი დროშის ანთებით,  
 საუკუნიდან მზესავით აღსდგა.

ამერიიდან ამაოა სევდა ნალველი  
 გულის ცემიდან ჩამოღვარული,  
 პირველი სიტყვა ბავშური ლენინ  
 დასასრულ ილიჩ, ამოსუნთქვა უკანასკნელი.

დავხაროთ სუნთქვა, ჩავმარხოთ დარდი  
 ავმართოთ ნება თოფის გულში ვადანალენთი,  
 ირგვლივ ანთება, ზღვებიდან ხმელეთზე ვარბის,  
 რომ შეინძროს აღმოსავლეთი.

უდაბნო გმინავს უღრმესი მკერდით,  
 შავი ქაობი შხამს ამოაქცევს,  
 ევროპა კვალად აღსდგება მკვდრეთით  
 და მთელ მსოფლიოს ცეცხლში მოაქცევს.

გვესმის ხმა უკვე ძღვენაოსილი,  
 განატაცები ქარის ფრთებიდან  
 საკაცობრიო სიხარული ნათლით აესილი  
 დარჩება მკაცრი შეტაკებიდან.

დავხაროთ ბაირაღები და მაგარ კუნთებით,  
 მჭიდრო ნაბიჯში ნაბიჯი ჩადგათ  
 ცეცხლის სახელი დროშის ანთებით,  
 საუკუნიდან მზესავით აღსდგა.

თარგმანი: გიორგი ლავაშრა.

ჯარისკაცს ყავდა ხელში. რომერტმა შემოახვია მის კისერ-  
 ზე თავის პატარა ხელები, რაღაცას ეჩურჩულებოდა ფრან-  
 გულათ და სჭამდა ხაჭოს პასკას, რომელიც მის ჯარის-  
 კაცმა მისცა. ჩვენები მიეკერნ ფანჯრებს. სადგურის პერონ-  
 ზე იდგნენ ჯგუფ-ჯგუფათ ჯარისკაცები. უსიყვარულო გა-  
 მოყო თავი ფანჯრიდან და დაიყვირა: „გაუმარჯოს მსოფ-  
 ლო რევოლუციას“. ჯარისკაცებმა ვაკვირვებით შემო-  
 ხედეს მგზავრებს.

რამდენიმეჯერ ჩვენ გვერდით ჩავვიარა ფერმკრთალ-  
 მა პორუჩიკმა და როდესაც ჩვენ ილიჩთან ერთად გადა-  
 ვედით მეზობელ ცარიელ ვაგონში, მოგვიჯდა და დაგვი-  
 წყო ლაპარაკი. პორუჩიკი „ობორონეცი“ იყო. ილიჩი იცავ-  
 და თავის შეხედულებას—იგიც რაღაც ფერგამკრთალი  
 იყო. ვაგონში კი თანდათან შემოდრიოდნენ ჯარისკაცები,  
 მალე ვაგონი მთლად გაივსო. ჯარისკაცები დგებოდნენ  
 სკამებზე, რომ შეხებდათ მისთვის, ვინც ასე გასაგებათ  
 ლაპარაკობდა მტაცებლურ ომის წინააღმდეგ. თანდათ-  
 ნობით იზრდებოდა მათი ყურადღება, დაქიმულობა ეტყო-  
 ბოდათ მათს სახეებს.

ბელოსტოკში ჩვენ შეგვხდნენ მარია ილიჩინა, შლიაპ-  
 ნიკოვი, სტალი და სხ. იყვნენ მუშა ქალებიც. სტალი  
 მიხოვდა, შეთქვა მითთვის რამდენიმე მისასალმებელი  
 სიტყვა, მაგრამ მე დამეკარვა სიტყვის ძალა და ვერა-  
 ფრის თქმა ვერ მოვახერხე.

ამხანაგები მოგვისხდნენ და დაგვიწყეს ამბების მო-  
 ყოლა. მალე ჩვენ ჩავედით პეტერში.

პეტერის მასები, მუშები, ჯარისკაცები, მატროსები,  
 ხვდებოდნენ თავის წინამძღოლს. როგორ გაიგეს მათ მის  
 შესახებ? არ ვიცი. ირგვლივ ხალხის ზღვა, სტიქია.

ვისაც არ განუცდია რევოლუციო, ვერ წარმოი-  
 დგენს მის დიდებულ სახეიშო სილამაზეს.



ლენინი.

აქ იყო წითელი დროშები, საპატიო ყარაული კოონ-  
 შტადტის მეზღვაურთაგან, რევოლუტორები პეტრე-პაილეს  
 ციხიდან ანათებდნენ გზას ფინლანდიის ვეგზლიდან  
 ქსეშინსკაიას სახლამდე. ბრონევიკები, მუშების და მუშა  
 ქალების შარი იცავდა ილიჩის გზას. აი, ის აიყვანეს ბრო-  
 ნევიკზე. იგი რაღაცას ამბობს. ირგვლივ მას ეხვევოდა,  
 ვინც მასთან ყველაზე უფრო ახლო იყო ამ ქვეყნათ:—ხალ-  
 ხის მასა.

რევოლუციონური ხალხი ერთნაირის ზეინით შეხვდა  
 და გააცილა თავის წინამძღოლი სამარემდე.



ქ. მენი.

ემილ ვერჰარნი.

კონკრეტული  
 მალ. ზეგონების  
 კრებული

## ემილ ვერჰარნი


ვერჰარნი! გაფანტულ იარაღთა ბრმა ხმაურობა,  
 წყვილიაღში მეფე რომ ისროდა ბარბაროსული;  
 შენში ილიქებს იმ ზარების უცნაურობა,  
 რომელთაც უსმენს სილატაკე, ღამით მოცული!

ვერჰარნი! ნალარა აჯანყების, ცეცხლთა ტრიალი.  
 ბრბოების თავზე შავ ბუკების ავი ძახილი!  
 ვერჰარნი! ელვების უდაბნოში სხვა ხეტიალი.  
 საშინელების საყვირია შენი სახელი!

შენში თრთოლვაა და მხიარულ ბრძოლის ზანზარი,  
 ბედის წინაშე გაგიყებულ ბრბოს მრისხანება,  
 დიდი ქალაქი და ტყეები, მთერალი ხანძარით!

მაგრამ წუთია და უმღერი ტანჯულ ქვეყანას  
 ისე, ვით ზარი შორეული, უნაზეს ნანას,  
 და ჩვენ გვიტაცებს სიყვარულის წმინდა ზმანება!

სტიუარტ მერილ.



კ. მენგი.

შრომის ძეგლი.

## ჩემს ლექსებს

იპ, აქვითიხი ჩემო ჩონგურო,  
და იწკრიალეთ, სიმებო, ჩემო!..  
ბევრ ჩაგრულთ შორის, გულო, ჩაგრულო,  
შენ მინც იცი ამ ხმების გემო!

რადგან, გვაღვებო რომ ჩამოწვებო  
და მკლავს სასტიკი ცეცხლის წყურვილი,  
ჩეკა ქუხილით შენში ასტყდებო  
და ფრთებს ისწორებს ცეცხლის სურვილი.

ის ამ დროს ირგველივ სვედის ნისლეზის  
მძლავრად მშობია და უნდით მჩეხი,  
ცეცხლია ტვეა მისი ისრების  
და ხმა იმათი—მეხია, მეხი!..

და შევბის მინდერებს, ამ წუთს დამზრალებს,  
გულსაკლავად რომ იყურებთან,  
ჩემგან საღბუნათ გულის ნაბრალებს  
სისხლის ცრემლებათ ეპკურებთან..

ეს თქვენ ხართ, ჩემი ტუბილი ლექსები...  
შეგ, ჩემო ფიქრო და ნაკვესებო,  
გაშალეთ ფრთები! გასდგით ფესვები!..  
თავს შემოგვევლეთ, ჩემო ლექსებო!..

\* \*

არ შეკრთეთ უცბათ: საგუშავგოზე  
აქ თვითონ შე ვარ სანდოთ და მტკიცეთ!

მტრებს პასუხს ვაძლევ თავთავის დროზე,  
იმ თავიდავანვე რაც შემოგფიცეთ!

და თქვენთვის ტლანქად ხელის შეხება  
ჯერ ქვეყნად ვერვის გაუბედნია!  
ორმა თუ სცადა, წარსულს ეხება,  
თუ მისთვის ბაღიც წაუჯგენიათ.

ჰგმეს ვაჯაკობა, შინჯეს მდებდრობა.  
როცა ქურდულათ უტყვედა ორი,  
მაგრამ არ შერჩათ ეგ თავბედობა  
და ბრძოლის ველზე დასტოვეს მძორი!..

მოკვდა წარსული! ახალს ხანაში  
ახალი გზა სჩანს ახალ მხარეში:  
აქით—ყანაში, იქ—ქარხანაში  
უსაზღვრო არის თქვენი თარეში...

გაგეფდა იგი, რასაც ნატრობდით  
და გაისწორა ჩაგრულმა ქედი,  
ვისაც იმედით თქვენ სულ ათრობდით,  
ვისთანაც სქედეთ საერთო ზედი!..

მას დღესაც თან სდევს ჩემი ლექსები...  
შეგ, ჩემო ფიქრო და ნაკვესებო,  
გაშალეთ ფრთები! გასდგით ფესვები!..  
თავს შემოგვევლეთ, ჩემო ლექსებო!..



# სამოციან წლებში

მოკონება

კ. ხატიანი  
XIII. 1906

სამოციანი წლები რუსეთში ერთ საუკეთესო, — რაკიკრეველია, შედარებით, ხანას წარმოადგენდა, როგორც მწერლობის გამოფხიზლების, ისე საზოგადოებრივი მოძრაობის მხრით. საუკეთესო მწერალთა ძალებმა — ორიოციანი და ორმოცდაათიანი წლებში, ვერვალდებულ ვერვინანებმა, ამ ხანაში აიხსნეს ფრთა და, თუ კი ოდესმე — რევოლუციონერ ხანას გარდა, რუსეთში ბეჭდვითი ქადაგება ძლიერი და გავლენიანი იყო, ეს სწორით ამ დროს. საუკეთესო კურნალ-გაზეთები ამ სამოციან წლებში გამოდიოდა \*), რომლებშიაც უწყვეტ ცნობილი მწერლები და საზოგადოებრივი მოძრაობის ხელმძღვანელები ათავსებდნენ თავისი კალმის რიხიან ნაწერს. ასეთი მწერლები და მოღვაწეთი, როგორც იყვნენ ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიტოვი, მიხაილსკი, ნეკრასოვი, ტურგენევი, პისარევი, ზაიცივი და სხვა ბევრთა მასწავლებელი მოწინავე საზოგადოება — განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მარქათათ დაყავდათ. ამ ჩამოთვლილ პირთა მოღვაწეობას აღწევდნენ ბანს და ხანდისხან, მოძახილსკი საზღვარ-გარეთიდან: გერცენი, ოგარიოვი, ბაკუნინი და სხ.

ამ მოღვაწეთა ქადაგების მეოხებით წარმოიშვა იმ დროსვე რევოლუციონერი სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთაც ისე გაძლიერდნენ სამოციან წლებში და რომელთაც დასახული ჰქონდათ არსებული წესწესობილების გარდაქმნა; ამათვე ქადაგებამ გამოიწვია და დააჩქარა მაშინდელი ძალდატანებითი რევოლუციონერი, როგორც, მაგ. ვითომდა განათლებული გლეხობის, ახალი სასაჯულოების შემოღება, სამოქალაქო და საერობო მმართველობის რეფორმა და სხ. .. ხალხის განათლების დარგშიც შეიტანეს რამდენიმე — ვითომდა, შეღავათიანი ცვლილებანი, მაგ. მამულ-საწავლებლების წესდებებში, მოსწავლე ახალგაზრდობის მოსასკიდათ.

შეუძლებელია გვერდი აუაროთ ამ ხანაშივე წარმოშობილი ახალგაზრდობაში, ეგრედწოდებულს, ნილოსისტურ მიმართულებას, რომელმაც გამოიწვია შურტიკოვსკის განხეთქილება მამებსა და შვილებს შორის. ჩვეულებრივ მოვლენათ შეიქნა, რომ რომელიმე წარჩინებული ოჯახიდან ქალი ამ ვაჟი სტაგენდი ოჯახს და მიდიოდა. ხალხში, სოფლად, ქადაგათ.

რა ლაპარაკი უნდა, რომ მაშინდელი მთავრობა გულგრილად არ შეჭყურებდა ზემოხსენებულ მოვლენებებს, — მით უმეტეს, რომ მწერლობა „ერთობა“ აღიზრახსნილი შეიქნა, ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით, 1866 წ. კარაკოვოვის მიერ ნარტყოც დაშხაის წამლის სუნი კიდევ სდიოდა მთელს რუსეთში.

ღიბს, მთავრობა თავისას არამც თუ არ იზიარდა, არამედ უფრო აძლიერებდა არსებულ რეჟიკიას. თავისი ეანდარმეობით და პოლიტიკა, ვამეცხებულ სუნჯარობა; ჯაგუშობა ხომ ისე იყო გაძლიერებული, რომ ვიგინდარის შეკითხვაზე — ესა და ეს ქუჩა რომელია, — პასუხის უნდა, თავში გაგივლებდათ — ჯაგუშუნი ხომ არ შეკითხვობა.

ერთის სიტყვით, ეს — ვითომდა, დიმიტრული მთავრობა წარმოადგენდა ბრძოლას აწარმოებდა მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და საზოგადო ახალგაზრდობის წინააღმდეგ, ვის არ ახსოვს, თუ რამდენი ამისანა მოღვაწეანი, ბევრნი არსულიად უღანაშულოდ, შიკნენ მსხვერპლად მთავრობის იმ დროის სიმკაცრისა; რამდენი იმთავანი სამუდამოდ დასახლდნენ თუ პეტერ-პავლეს, თუ შლისებურგის კაზნატებში, რამდენი კიდევ ციმბირის სხვა და სხვა მიკრუებულ ქალაქებში და სოფლებში იქნენ დადასახლებულნი, და სულ ადმინისტრაციულის წესით; ამ დროსვე, რასაკვირველია, საუკეთესო კურნალ-გაზეთებიც იხურებოდნენ ან არსულიად ან დროებით.

სიტყვი მოიტანა და თავის-თავად ეგების უმნიშვნელოს, მაგრამ იმ დროის დამახასიათებელი ორ შეხთხვევას მოვიყვან.

ვიმნახოთ ქურსის დასრულების შემდეგ პეტერბურგს გავეშხავოთ უმაღლესი სწავლის მისაღებათ. მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში შევედი. — იმ დროის აკადემია ერთი საუკეთესო იყო საქებო უკულოტეტა შორის რუსეთის უნივერსიტეტებში, როგორც უყვე ცნობილი ევროპაშიაც; პროფესორ-მეცნიერებით (სენეოვი, ბოტკინი, გრუბერი, ბოროდინი (ქიმიკოსი თანაც გამოჩენილი კომპოზიტორი), ზღენიკოვი და სხ.), ისე სასწავლო საშუალებათა სიმდიდრით და მოწოდებლობით (ლაბორატორიები, სხვადასხვა კაბინეტები, კლინიკები და სხ.).

სწორად თანვეწულს (1864) დასარულა აკადემიის ქურსი ჩვენმა ამათვემულებს, შემდეგ განიქმუბდა მეცნიერება — ფიზიოლოგმა ივ. თარხნიშვილმა, რომელსაც ვი მისმა მოთაყვანე პროფესორმა აგრეთვე წარჩინებულმა ფიზიოლოგმა სერენოვმა ასეთი — მაშინ გულსკალივი, სიტყვები წარმოსთქვა: „თუ ჩემი თარხნივი ევლის პრისპექტმა არ ჩაყლაპა, ის შესანიშნავი მეცნიერი-ფიზიოლოგი იქნებოდა.“ — პეტერბურგში ნეკის პრისპექტ იმითი იყო, სხვათა შორის, განთქმული, რომ ლამით „ლაშქრისპეველები“ ხშირად აბამდნენ ხოლმე თავიანთ ბაღში ახალგაზრდა ვაჟებს; თარხნიშვილისთვის კი ეს ვანსაკუთრებით სასწო იყო, როგორც შესანიშნავი ღალახის და ყოველის მხრით მოხვედრილ ყმაწვილი კაცისათვის. — თუმცე დანამდვილებით ვიცი, რომ თარხნიშვილი ქალების ერთობ მოტრევიდოდ იყო, მაგრამ მისი პროფესორის სიტყვებით მაინც რა გამართლდა იმაზე — როგორც მოგეცხებოდა, იმან რამდენიმე წლის შემდეგ, მეცნიერთა შორის უკვე ცნობილია — ფიზიოლოგმა, თავის პროფესორის კათედრა დაიქურა აკადემიაში.

## პირველი შემთხვევა.

ვინც პეტერბურგში ყოფილა, მისს „სახაფხულო ბაღს“ უფროდ იცნობს. ეს ბაღი იმითაც იყო იმ დროს ცნობილი, რომ იქ ყოველდღე ზელმუფის ოჯახობა სერიონობდა, — 12—1 საათამდე აღსკანდრე მერკოც შემოვილოდა ხოლმე ბაღში აღმოსავლეთის ალაყაფის კაბებით, ამ მხარებზე მდებარე ხეივანში ვაივლიდა, მერმე შუა ხეივანში შეხებდებოდა ოჯახობას და ერთად გაემგზავრებოდა.

\*) „Соврем.“ „Отеч. Зап.“ „Дело“, „Русский Вестник“ და სხვ.



დნენ სასახლეში. ამ დროს ბაღის ამ მხარეზე სხვა მოსე-  
 ბრინე საზოგადოებას არ გაეკუთვნებოდნენ, მაგრამ, თუ სხვა  
 მოსერები ვინმე იქნებოდა, ეს უნდა გეოღნობათ, რომ  
 გადაცემული ენდარბი ან პოლიციელი იყო ან კიდევ ჯა-  
 შუში.

ერთს ამისთანა სეირნობის დროს აღექსანდრე მეო-  
 რემ მეორა თვლი მეორე ხეივანში მჯდომ ყმაწვილს,  
 შავთ ჩაცმულს, შავ-წერე ულვაშისან, შავ გრძელ თმისან  
 და თვალმებზე ჩამოფხრაწულ შავი ფართე კალთებიანი  
 შლიაბით.—დიანახა თუ არა, მიუთითა ყმაწვილზე უკან  
 მიმდევარ კაცს,—იციდა უთუთო, რომ ეს ენდარბის  
 მოხელე იყო.—იმ წამშივე სტაცეს ხელი ამ ყმაწვილს,  
 გააყვანეს ბალიდამ, ჩასეს „განკაში“ პოლიციელი და  
 გაისტუმრეს. იმ დღიდან გაქრა ყმაწვილი და დღესაც არ  
 იცანთ თუ ვინ იყო ის ყმაწვილი ან სად გადაკარგეს.—  
 ამბობდნენ მხოლოდ, რომ იმ დროს, ვითომც ესეთი ქარ-  
 თველი, უნდერსიტეტში მოსწავლე, ვინმე ნაცვლშივლი  
 დაიკარგა პეტერბურგში.

რა ლაპარაკი უნდა, ყმაწვილის დანახვაზე აღექსან-  
 დრე მეორეს ნიგოლისტი წარმოუდგა თვალწინ და კარა-  
 კოხოვის დამბახა...  
 \* \* \*

**მეორე შემთხვევა.**

როგორც ზევით მოვახსენეთ, საზაფხულო ბაღი,  
 ხელმწიფისა და მისი ოჯახობის სეირნობის დროს თავისი  
 თავათ, ხანდისხან ძალდატანებითაც, ორად იყოფოდა,—  
 აღმოსავლეთის და შუა ხეივანებში ეს ოჯახობა სეირნო-  
 ბდა, დასავლეთისაში, „მარსის მინდორის“ მხარეზე,—სხვა  
 მოსეირნე საზოგადოება, რომელიც ამ დროს ზღვით მოა-  
 წველობდა ხოლმე ბაღს.

ერთ დღეს მეც გავგერიე ამ მხარეზე მოსეირნე სა-  
 ზოგადოებას. ვსეირნობდი, მეთქი, რომ ვსტეკვა, მეტი  
 იქნება, უფრო ნამდვილი კი—აქ მოსეირნე ტალღას მიე-  
 ყავდა.—ამისთანა სეირნობის დროს მივიხედ-მოვიხედე  
 და დავინახე, რომ ხალხი შეინძრა, ყველა ქუდ-მოხდილია.  
 რომ ეციოთხე—რა ამბავია მეთქი,—მითხზეს და მიმითი-  
 თეს ხელმწიფეზე, რომელიც თავის ოჯახობას შუა ხეი-  
 ვანში უნდა შეხვედროდა.—ოჯახობიდან კარგა მანძილი  
 იქნებოდა, რომ ამით მოსცილდათ ორი, ერთი-ერთმანეთ-  
 ზე გამოჭრილი და ყვითელი კვემბრთელა სტერტონი და  
 გამოეშურნენ ხელმწიფისაკენ, მივირდნენ და დაუწყეს  
 მას აღერსი.. მე ამ სურათს შეერჩი და ქუდის მოხდა  
 აქ სულ დამაიწყდა.—ამ ყოფაში ერთი ახალგაზრდა  
 ყმაწვილი ამეტრობილდა და ჩვენს შორის ასეთი დია-  
 ლოგი გაიმართა:

- თქვენ, ყმაწვილო, უშუქველი, პირველად ხართ  
 ამ ბაღში?
- დიახ, პირველად.
- უშუქველია პეტერბურგშიაც ახლა ჩამოსული—  
 ბრძანდებით?
- სულ რამდენი თვეა.—
- ალბათ არ იცით, რომ ხელმწიფე რა მანძილზე-  
 დაც უნდა იყოს, ყოველთვის ქუდი უნდა მოიხადოთ მის  
 დანახვაზე.

\* ერთხეხენიანი პატარა გტლი.

— ეს როგორ არ ვიცო, მაგრამ ხელმწიფესთან და-  
 ლეღის აღერსა გამოიტაცა და ქუდის მოხდა დამავიწყდა.  
 ამ შესაივით მივალწიეთ კიდევ ბალიდამ გასავლ-  
 კარებთან.—აქვე ჩემმა მესაუბრემ თვალი ანიშნა ჩემზე  
 პოლიციის მოხელეს, ამანაც აქვე მდგომ პოლიციის და-  
 რაჯს გადაიბრა—წაიყვანეთ ეს ამა და ამ უბნის საბოკა-  
 ულოში და მეც ეხლავე მოვალო..

— რაშია საქმე, მეთქი, რომ შეეციოთხე,— მომიგო, იქ  
 შეიტყობათ...

რა ოღმე იყო, გაეყვიე პოლიციის დარაჯს.— ნახე-  
 ვარი საათის სიარულის შემდეგ, შეეხებეწე დარაჯს რომ  
 ჩემი ხარჯით, რასაკვირველია, ვანკათი წაესულებავითო..

— არ ოღრსო, მითხრა, სადაცა უკვე საბოკაულო-  
 ში ვიქნებითო.

როგორც იქნა მიზანს მივალწიეთ.

შეგდით თუ არა, პოლიციელმა მისაღებ ოთახთან  
 დამსვა გრძელ ძელზე და თანაც გვერდზე მომიჯდა.  
 გავიდა ერთი საათი, ორი, სამი,—ჩემი გამოგზავნელი  
 პოლიციელი არსად სჩანს!—უკვე საღამოს ხუთი საათია..  
 ვეხებეწე ჩემს მომყვან დარაჯს—აი აქვე რესტორანია,  
 მგონი და წავიდეთ ერთად ვისადილოთ, მეთქი..

— რა დროს სადილზე ფიქრია, შენ დალოცვილო-  
 ვო, მომიგო, და ამ დროს, მე რომ გამოგზავნაწის პო-  
 ლიციელიც მობრძანდა, თან ჩემი ბაღში მოსაუბრეც  
 მოპყვა.

ორივე მეორე ოთახში შევიდნენ, ალბათ ბოქაულის  
 კაბინეტში.

ცოტა ხნის შემდეგ ესენი გამოვიდნენ და მე შემი-  
 ხნეს კაბინეტში.—გრძელ და ფართო მაგიდასთან იჯდა  
 ხანში შესულნი ცისფერი სათავალიანი კაცი, რომელმაც  
 ძალიან ზრდილობიანად მიმითითა მის პირდაპირ კრეს-  
 ლოზე და დამბანდიოთ, მითხრა..

- ეინ ბრძანდებითო,—მიკთხავს.
- შედიკო-ხირურგიული აკადემიის პირველი კურ-  
 სის სტუდენტი.

შემდეგ ჩვეულებრივ კითხვებზე ვუპასუხე: გვარი,  
 სახელი, რომ ქართველი ვარ, ქრისტეს საწრწუნოების,  
 19 წლისა, სულ რამდენიმე თვეა პეტერბურგში ვარ,  
 ცხოვრობ მქა და აქ..


— გთხოვთ, აი, ამ ქალაღზე გამოიყვანოთ საზაფ-  
 ხულო ბაღის მოსახულობა,—სად იყავით თქვენ, ხელმწი-  
 ფე რომ შემოვიდა ბაღში და ოჯახობას შეხვდა, რა მან-  
 ძილი იქნებოდა იქედამ თქვენდამი?..

ყველაფერი ეს მოვახზა და აღვინშენე..

ეს ყველაფერი კარგი და მე უკვე მომახსენეს, თუ  
 როგორ მოვიკვიდით, რომ ქუდის მოხდა დავაიწყებითო.—  
 ეს არასოდეს არ უნდა დავაიწყებდით, რომ—რა მანძილი-  
 ხედაც დაინახოთ ხელმწიფე, მაშინვე ქუდი უნდა მოი-  
 ხადოთ.—წაბრძანდით სახლში, მაგრამ ერთი თხოვნა უნ-  
 და შემითხულოთ—საზაფხულო ბაღში არ შეხვიდეთ სა-  
 სეირნოთ იმ დროს, როდესაც იქ ხელმწიფეა ოჯახობით.

მივეცი პირობა და დიდის მადლობითაც გამოვესა-  
 ლმე.—გამოვიდი თუ არა საბოქაულოდამ, ჩავეკეტი ვანკა-  
 ში და მთავაშერე ბინას, სადაც რამდენიმე წა-რი „ლოკო-  
 კოლისა“ მქონდა და კიდევ რამდენიმე სურათი აკრძა-  
 ლული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა..

კარლ ლიბკნეხტი



...მარაღ იქნება შეაბოხებ მებრძოლ გმირებთან...

წარმოიშობა, რომ ბინა უკვე გახზრეკილია და რაც რამ აკრძალული მქონდა, წაღებული..

ბინაზე მოსვლისათვის, დისახლის ვკითხე—ხომ არეინ ყოფილა, მეთქი, პოლიციიდან.—არაო, რომ მითხრა, ცოტა არ იყოს დაგმუხილდი..

— შესაძლებელი იყო, აწი მოსულიყვენ და რაც რამ აკრძალული მეზადა, ყველაფერი დისახლის შევანახენე.—

მეორე დღეს აკადემიაში წავედი. ლექციები ჯერ დაწყებული არ იყო, მოდის ჩემთან პედელი—ინსპექტორი ვიხმობოთ.

ვერ წარმოვიდგინე—თუ რისთვის მიხმობდა ინსპექტორი.

შველე კარი მის კაბინეტში თუ არა, სიცილით მეკითხება—რა ამბავი შეგმთხვევით საზაფხულო ბაღში?

— მეც ყველაფერი ვუბმე.


— თქვენს დმერთს მიაზაღლეთ, ნუ დაღიხართ სასეირნოდ საზაფხულო ბაღში, ხომ იცით, რომ იქ ხელმწიფის სეირნობის დროს ათში უეჭველად ერთი ჯაშუშია.—მიბრძანდით ლექციაზე.

ამასაც დაგირდი სურვილი აღფსრულო, და—მართლაც, ამის შემდეგ პეტერბურგში კიდევ ერთი წელიწადი დავტრი და საზაფხულო ბაღისაკენ არც კი გამიხედნია.

აქ შესანიშნავია სისწრაფე მიმართვისა პოლიციისა და აკადემიის შორის იმისთანა უბრალო საქმეზდაც კი, რომელიც მე შემმთხვა.

ივ. მეხხი.

# ალ. ჯაფარიძის ავტობიოგრაფიის ცოცხალი მოწმე:



ლუარსაბ ხელაძე.

## ალექსანდრა ჯაფარიძე

მოგონება ასოთ-ამწყობისა

გამარჯობა თქვენი, ი, მუშაკო, გამარჯობა, როგორა ხართ, აჰ, ჰყენავთ რალა ქათმებსასეთი!.. (წყობას ეძახდა ასე), შემოვიდა სტამბაში ერთხელ სანდრო და მხიარულად შემოგვეხა.

ყველას, იქ მყოფთ ალექსანდრეს მოსვლით ღიმილი მოგვივიდა სახეზე და მხიარულად განვიგრიქით წყობა.

— აბა, პლატონ! (ასოთ-ამწყობია) ჩემი „ეღუგუჯა“ როგორ არის, იწყობა, თუ არა?

— როგორ არა, ბატონო! ცოტას თუ მოითმენთ, კორექტურას მოგართმევთ გასასწორებლად, მიუფო ასოთ-ამწყობა.

— ძალიან კარგი, ჩემო პლატონ, ძალიან კარგი, ცოტა-კი არა, გინდა, ორი საათიც დავეცადო და გავასწორებ კიდევ აქვე.

მაშინ „ეღუგუჯა“ პირველად იბეჭდებოდა წიგნად ე. ხელაძის სტამბაში და განსვენებული სიხარულით ფეხზე დიარ იდგა; იმაზე წინ-კი ცალკე წიგნაკებად გამოისცა თავისი „ელისო“, „ცოკო“, „არსენა“ და სხვა.

განსვენებული ყველაფერ საგანზე ძალიან დაკვირვებული კაცი იყო. თვითოფელ ასოთ-ამწყობთან მივიღილდა, მხარზე ხელს დაპყრავდა და ჰკითხავდა: „შენ რალას აწყობ, პატარავე?“

— მეც „ეღუგუჯას“ ვაწყობ, ბატონო! მიუფო პატარა ასოთ-ამწყობმა.

— მართლა! გესმის, რასაც აწყობ?

— როგორ არა, ბატონო.

— მერე, მოგწონს თუ არა?

— მომწონს-კი არა, ბატონო, კითხვას რო ვიწყობ აღიარ მინდა, რომ მიგწორდეს, მიუფო პატარამ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო პატარა! ღმიილიდა და თავზე ხელის მოსმით უთხრა განსვენებულმა პატარა ასოთ-ამწყობს.

— პლატონ! კარგი ხელობაა, აი, ეგ თქვენი ხელობაა, კუთა-გონებას უხსნის ყმაწყვილს, არა?

— ეჰ, ასე გგონიათ თქვენ ალექსანდრე—ამოიხვრით დაიწყო უფროსმა ასოთ-ამწყობმა—კარგია, გარეგნობით კარგია, მაინამ ჩაუყვირდებით საქმეს;—კარგი ექნებოდა მაშინ, რომ რიგინი წეს-რიგი გვექონდეს სტამბებში შემოღებული, თორემ ესლა რა: ათი და თექვსმეტი (საათი?) განუწყვეტლად ფეხზე დგომა სტამბის აყროლებულ ჰაერში და თვალბ-გამოქიმილი დედანში ცქერა რა ხეირს დაყარის მომუშავეს.—თუ მომუშავეს რიგინი ჯამაგირი ეძლევა და უფასდება შრომა, მაშინ ის ჯაფათისთვის აღარ ინაღვლებს; მაგრამ ეს ასოთ-ამწყობლობა ესეთი უმადლო და დაუფასებელი შრომაა, რომ ძნელად თუ რომელიმე ასოთ-ამწყობი კმაყოფილი იყოს თავის ჯამაგირისა. ჩვენეი შრომა და წვალება რაც ღირს, იმის მემედნადაც ვერ ვიღებთ ესღე.

— ეგ არ არის სასიამოვნო ამბავი;—დაღონებით წარმოსთქვა განსვენებულმა ალექსანდრემ—თქვენი ხელობა ყველა ხელობაზე მაღლა უნდა იდგეს, რადგან დაახლოვებული ხართ ლიტერატურასთან და გვერდში უდგებართ მწერლობას, რომელიც წარმოადგენს წყაროს სიპართლისს და თავისუფლებისას. მართალია აქ ვერ არის, როგორც ვხედავ სასურველ ნიადაგზე სტამბის საქმე დაყენებული, თორემ სხვა ქვეყნებში-კი კარგად არის სტამბების საქმე მოწყობილი.

ჩვენ ვთხოვეთ განსვენებულს რომ ეამბნა ევროპის სტამბების მდგომარეობა და ავიკრულა კიდევ.—ყველა სხენად გადავიქვეცი და აღტაცებით მოველოდი ჩვენ ბედ-იღბლადე ლაპარაკსა.

— ევროპაში—განაგრძო განსვენებულმა ალექსანდრემ—სასურველ ნიადაგზეა სტამბების საქმე დაყენებული. თვით მტრებად არის მოთავსებული კარგი ჰაერისთვის სახლის სივრცე საბათლში, სუფთად ვალაქულ თიანებში; სადაც ასოთ-საკრეფი განყოფილება არის, იქ როგორც ვევიღებოდა არის ჩამწყრივებული, რომ ასოთი მოწამულნი ჰაერი ვაიწმინდოს, რადგან უამისოდ ცუდად მოქმედობს სტამბის ჰაერი მომუშავეთა ორგანიზმზე; საბუქდავი, საწყობი და კონტრაქა ყველა ესენი ცალკე-ცალკე მოთავსებული სუფთად. გარდა ამისა ასოთ-ამწყობის სუფთად ჩაქმულნი არიან, აქეთ საკუთარი კომბო, აქეთ გარეთვე სამაზნაგო კასსა დაწვესებული, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ქურნალ-გახეთების რედაქტორები და თანამშრომლები, კასის მმართვე-გამგებობაც ამათ ხელშია. ასოთ-ამწყობი და აგრეთვე ყველა წვეთოვანს შეფილია საპრობების დროს ფული რამდენიც უნდა გამოიტანოს კასსიდან—კასსა იმდენად მიღობენ აქეთ, რომ წყაროს თუ ვინმე მახლოვლი მოუკვდა, ან თვითონ მოკვდა, გამოვლის სამარხი ფული. ასოთ-ამწყობი მაინამ ახალაზნადა და ჯანი მოსდევს, მუშაობს არხენიად, მოხუცდება და საზოგადოების დაღვინებით ეძლევა კასსიდან სიკვდილამდის სარჩენი ფული აგრეთვე სკევენ სხვა და სხვა წიგნებისა და ქურნალებს, რომელთაც დიდი სარგებლობა მოაქვთ ხალხისათვის და სხ. აი, ამანიად არის იქ სტამბის საქმე დაყენებული.

\*) ზირიან გახეთებზე (დღოფარი) 16 საათზე მეტს მუშაობს ასოთ-ამწყობი, იგვირის\* ასოთ-ამწყობი ზირიან 16 საათზე მეტს მუშაობენ.

ამით დასარულა ალექსანდრემ სტამბის ამბავი და ჩვენ კიდევ ვაშტერებულემი შევსტკეპროდი, თითქოს სიზმარში ვიყოთ. ამ დროს წამოიღვა წინ პატარა ასოთ-ამწყობი, სახე-წამოწილელული და თვალებში ცრემლები-მოჩრული ამ სიტყვებით:

— აბა, ბატონო, აქაირო სტამბები ნახეთ, რა დღე-შია, საღდაც სარდაფში, სულ-ერთიანად არეულ-დარეული ერთმანეთში, მაშინა, საწყობი, ნავაგი და ჯანდაბა; ხეირი რავა დაგვეყრება ამისთანა სტამბებში მომუშავეს...

ალექსანდრეს გაუყვირა ყმაწვილის ამნაირი ალღევებით ლაპარაკი და სიცილითა და თავზე ხელის მოსმით ანუშგაზა:

— გულს ნუ ვაიტებს, ჩემო პატარა, რა ვუყოთ, ჯერ ასეა, მერვე გაუმჯობესდება, ყოველეთის ხომ ესე არ იქნება... მერე ყველას მოგვგარია და გვიხობრა:

— რამდენი იქნებიან სულ ასოთ-ამწყობნი ტფილისში?

— ორასზე მეტი ვიქნებით ყველა ტომისა-მეთქი, ვუთხარო.

— არა, მარტო ქართველები?

— ძალიან ცოტა, ესე ოცამდე არც-ვი ვიქნებით-მეთქი.

— რათა ხართ ევრე ცოტა?

— იმიტომ, რომ პირველად ბევრს იზიდავს სტამბა შევირდებს; რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ ხელდავენ, რომ შრომაში არ აძლევენ იმის ნახევიარს, რაც ზღის იგი და ამისათვის თავს ანებებენ და სხვა უკეთესს საჯანსალო საქმეს ჰკიდებენ ხელს.

— აი, ყმაწვილებო, თქვენ რომ ერთობა ჰქონდეთ, კარგათ მოაწყობთ თქვენს საქმეს. ოცამდე ქართველი ყოვილხარო, შევადინეთ ამხანაგობა და ყოველ თვე გაგადასდეთ რამოდენიმე მანეთი, ასე ერთ წელს შემდეგ პატარა თანხა გაგინდებდა; მეც მოვიცლა საქმეებიდან თუ არა წესდებას შევიდგინეთ, ან გამოვიწერე, როგორც უნდა იმოქმედოთ. თქვენ დიდი საჭირონი ხართ ჩვენთვის. თქვენ რომ კარგ ნიადაგზე იყოთ დამდგარი, დიდ სარგებლობას მოუტანთ საზოგადოებას: მაგ. როგორც იაფ-ფასიან წიგნების ბეჭდვა და სხვა, მეც ვეცდები აქაურ ვაზეთის თანამშრომლებსაც მოველაპარაკო და ამ ქაშის საქმე მოგავგაროთ მაინც, რომლის დაარსებაც იმათთვისაც უშეკელი ხეირია.

ჩვენ ყველას დიდად „გაგებებდა ამისთანა კეთილი საქმის რჩევა ალექსანდრესაგან და დიდი მადლობა გადაუხუხებდა.

განსვენებული ალექსანდრე მართლა რომ შესანიშნავი კეთილი კაცი იყო. იმას თან დაჰყავდა მაშინ სტამბაში ერთი ახალგაზდა სომეხი, რომელიც განუშორებლად იმასთან იმყოფებოდა და ქართულ ენას და მართლ-წერას ასწავლიდა; სწავლობდა აგრეთვე ასოთ-ამწყობასაც, და, აი, განსვენებულის წყალობით რამოდენიმე წლის იმასთან მეცადინეობას შემდეგ, ეს ახალგაზდა სომეხი, იმდენად გაწრთნა და დაახელოვნა ქართულ ენაში, რომ დღეს თამამად ქართულ ვაზეთის რედაქციამ პირველ თანამშრომელად მოაქვს თავის თავი და მეთაურ წერილებსაც კი გვიცხობს ხოლმე. აი რას ჰქვია დაუღალავი შრომა მწერლისა, წერთაყც და საქმიოთაც.

მანამ „ელგუჯა“ აიწყობოდა, მუდამ დღე დადიოდა

განსვენებული სტამბაში და მუდამ სხვა და სხვა; საინტერესო ვეგსაუბრებოდა ჩვენდა საკეთილდღიოდ. განაწავდა თუ არა „ელგუჯას“ წყობა, უქანასქნელი კორექტურა წაუთურ სახში და ძალიან გაუხარდა, აბა ჩემო ლეონარდა, დაიქარეთ ბეჭდვა დღეს-ხვალ და ზევ მაინც ბილეთი გამოვიტანათ კომიტეტიდან, რომ მივსცე ბარემ მალაზიებში გასაცემად.

მეც შევიბირდი უშეკელად მოვასწრებ-მეთქი და გამოვბრუნდი. დანიშნულ დღისათვის ყველაფერი მოვიზიარებ; წიგნები სულ დამზალდა და კომიტეტზეც წარვადგინეთ კანონიერი რიცხვი წიგნების; იმ დღეს ბილეთი ვეღარ მომცეს და მეორე დღისათვის გადადეს. მეორე დღეს ალექსანდრეც ადრე მოვიდა სტამბაში, აბა, ლეონარდა, მითატნებ ბილეთი? — არა, ესხავე უნდა წავიდე ვიდე-მეთქი. ის იყო, უნდა წავსულიყავი კომიტეტში, რომ მოვიდა წერილი საცენზურო კომიტეტიდან რომ ზოგიერთი მიზეზების გამო „ელგუჯა“ აღარ გამოვა და ავაღაზდა სტამბას, რომ მეორე დღეს ჩაებრებინა სრული რიცხვი დაბეჭდილი ეგზემპლიარებისა. ამ ამბის შემდეგ ალექსანდრე აკედარს დაემსაგავსა.

განსვენებული ალექსანდრე ამის დარღვე სოფელში წვაიდა და დიდხნობადის არ ჩამოსულა ტფილისში. ეს ამბავი იყო 1884 წ. \*)

ასოთ-ამწყობი ლ. ხელაძე.

როგორც ზევით აღენიშნავ „ელგუჯა“ პირველთ დაიბეჭდა 1883-1884 წწ. ეჭვითვე ხელაძის სტამბაში და არა გრიჭუროვის სტამბაში, როგორც ამას აცხადებს ზ. პეიჭიაძე.

გრიჭუროვი იყო წიგნების გამომცემელი და, რამდენდაც მე მასსოვს, „ელგუჯაც“ იმის ხარჯზე იბეჭდებოდა.

„ელგუჯას“ ვაწყობდით სამი ასოთ-ამწყობი: უფროსი ჩვენში იყო პლატონ გოგუაძე (დრმათ მოხუცებული ახლა გურიაში სცხოვრობს), მელიტონ ჯერენტა (მოკვდა) და მე — ვაწყობდით ვაზეთიდან და კარგა ნაწილს ხელნაწერიდან, რომელიც მოქონდა თვით ყაზბეგს. კორექტურას ასწორებდა თვითონ ალექსანდრე მომეტებულად სტამბაში.

განსვენებული მოუთმენლად ელოდა წიგნის გამოსვლას, იმიტომ გვაჩქარებდა აწყობას და გათაყებისას „მალარისას“ გვიპრებოდა.

წიგნის ბეჭდვა დამთავრდა. შობლოდ გამოშვების ნებართვა უნდა აგველო და ამ დროს მოგვდის საცენზურო კომიტეტიდან ბრძანება წიგნის დაკავებისა. საცენზურო წიგნში აღნიშნული რაოდენობა წიგნებსა მე ჩავებარე საცენზურო კომიტეტს და როგორც შემდეგში გავიგეთ დავუწავთ კიდევ: როგორც იყო ერთი ცალი გადავიარინე. 10-15 წლის განმავლობაში ეს წიგნი ხელისა და ხელში გადადიოდა წასაბითხათ და ბოლოს წაიღებამა-კი უქან აღარ დამიბრუნა.

„ელგუჯას“ კონფისკაცია ძალიან უკლდათ იმომქედა და ლ. ყაზბეგზე, ავად გახდა და სოფელში წვაიდა. როგორ უყურებდნენ ალექსანდრეს სტამბის მუშებში?

\*) ეს წერილი დაიბეჭდა უფრ. „კვალში“ 1894 წ. № 7.

ალექსანდრემ თავისი უბრალო ქცევით, რომელიც მაშინდელ მწერალთა შორის ძალიან იშვიათი იყო, თავი შეაყვარა მუშებს.

მანამ წიგნის ბეჭდვა დამთავრდებოდა სულ ჩვენ შორის ტრიალებდა. მის დაუსრულებელ ოხუნჯობას, ანეგდოტებს, გულწრფელ საუბრებს და ენა-მახვილობას აღტაცებაში მოჰყვება მუშები.

ხშირად სტამბაში დარჩებოდა ხოლმე, იქვე დასწერდა და ვაღმწიკრებდა ასაწყობ მასალას.

ალექსანდრის მოსკოა სტამბაში სიცოცხლე იყო მე-წებისათვის, რომ კიდევ ახალ-ახალი რამ გაეგოთ.

და არ ამნარი კაცს, რომელმაც ათეული წლები თავისი მუშაობით მწერლობის ასპარეზზე, ჩვენ შორის გაატარა და რომლის ტექბლი საუბარი, ენა-მახვილობა და მჭევრმეტყველობა ჩვენთან—იყო იგივე წარბეჭატი მისი

**ალ. ყაზბეგის ამბროზის ცოცხალი მოწამე:**



ნატო მესხი.

**ჩემი კატარა მოგონება.**

მასხვიან განსვენებულმა ჩემმა ქმარმა კოტემ წამიყვანა თავის ძმა სერგეისთან, „დროების“ რედაქციაში. სერგი იქ არ დაავიხვდა. იქ იყო მისი მეუღლე კეკე და ალექსანდრე ყაზბეგი. კიდევ ვილაყა ხელზე გათხუწული, მუტუიანი კაცი, რომელიც დასტყუროდა მაგიდასთან მჯდომარე ყაზბეგს. ალექსანდრე გაჩქარებული სწერდა რაღა-

მოთხოვნილება—ახლა გამოსულან ვილაყები და ცილის სწამებენ მწერლობაში.

თვემ რომელთაც ასტეხეთ განგავში ამის გარშემო, უნდა გაინტერესებდეთ „რალაყა“ და განგავით დააჯეროთ რამდენიმე გულურზყვილო, მაგრამ ჩვენ იმის ცოცხალ მოწამებს გვეხსაც კი ვერ დავგვიხადებთ ალ. ყაზბეგის „ელეუგას“ ავტორობაში.

ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ალ. ყაზბეგისავან განძი—მისი ნაწარმოების სახით. ალ. ყაზბეგს-კი ამაში არავითარი სასყიდელი არ მიუღია და ბოლოს მშვიტირც-კი გადაივიცლა.

ამის შემდეგ აღარ გავციკრებდნა მატინეს ფრაზა: „მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობდნენ“. რადგან მაშინდელი დრამატული ტენიკაც და ესთეტიკაც ტრაგედიის პათოსთან ერთად ზუჭონადის პათოსსაც მოითხოვდა. ასეთი ფორმის თეატრიდან იყო თვით „უფროსი მსახიობთა შორის“ მაჩაბელი და ის უცნობი ხალხი, რომელიც თავისი საკუთარი სტრლით თავისებურ ფორმებში ჰქმნიდნენ ქართულ თეატრალურ ტრადიციებს და რომელიც თავისი ვულუპრიული „სახანდარიები“ და „მსახარბაზობით“ გააუბრალოვნდნენ თვით ვოლტერსაც. ეს „გაუბრალებთა“ შემწიუნელია მაშინდელს თარგმნის რეპერტუარშიც.

1795 წელს პოეტსა და მდივანბეგმა დავით ჯიბშე-რისძე ჩოლოყაშვილმა „მათი უდიდებულესის მიფე ერეკლეს შესაქცეულად“ ფრანგულენად სთარგმნა რასინის „ჟიდელინი“, მაგრამ აქ არა თუ დაეკულით თარგმანი, არამედ შეცკლილია რამოდენიმედ ფორმალური მხარეც ნაწარმოების.

რასინის ტრაგედიის არსებითი მხარე, რასაკვირველია, დაეკულია, მაგრამ თუ უკანასკნელი შეიცავს 5 მოქმედებას და 37 გამოცხადებას, დავით ჩოლოყაშვილს იგი გადუკეთებია 5 მოქმედებად და 8 გამოცხადებად. საკანონოდად შეგროვებულია თვით იმპონენის როლიც. გარდა ამისა თვით ჩოლოყაშვილს შეუტანია ტრაგედიაში საკუთარი მონალოგები, როგორც: ულისეს მოთხრობა მა-

\*1. იხ. ზუბინაშვილის ქრესტომატიკა. I გვ. 179. ჩვენს წერილის წინა ნაწილში შევარულა კორკიტურული შეცდომები, როგორც „საქართველის საზოგადოება“ „რუსთაველის საზოგადოების“ მაგიერ და სხ. აგრეთვე გამოჩრდილთა საბა სულხანის ვანმარტაძის თეატრის და მსახიობის: „თორატო, სახედველი, ესე არს ზღუდე მოცულებული, შუა ადგილი სამეფოსა—საროკავნი და გარემოს მჭვრეტელთა სადგამი სადა სტანჯუკიან მოწაქითა. სახის მჭვრადლი—სახის მტყველებით თქმულსა სიტყვა—სა ჰქაუნა“. საბა, II, 21, 4.



მის მიერ შეიღის სხეერალშეწირვაზედ (გვ. 308), ხოტბა ახილვისას (გვ. 313—314), ვრცელი მონოლოგი ავამეწონინას (გვ. 309—312), ასეთივე მონოლოგი კლიტემნესტრისა (გვ. 316—317\*).

ჩოლოყაშვილი ამოკლებს რასინს ჯერ აღმოსავლეთის ლიტერატურის ტრადიციების მიხედვით, როცა მთარგმნელს თავისუფლად შეუძლიან მოექცეს როგორც ფორმას ისე სიუჟეტს, შემდეგ ქართული სცენის ტენიკის შეფარდებისათვის, ქართულად გადმოკეთებული პიესა სცენაზე ჰქმნის თვით მისი მეტეს მოძრაობას და დეკორაციების მუდმივ ცვლას.

აქ ორი სიტყვა მაშინდელი ქართული სცენისათვის: თვით ისინიც კი, ვინც დაჯერებულია ირაკლის თეატრის არსებობაში, ჰჭიჭობენ რომ მაშინდელი სცენის ტენიკა მეტად პრიმიტიული იყო, ასე მაგალ., წარმოდგენები იმართებოდა ცის ქვეშ, არ იყო დეკორაციები, ბუტაფორია და სხ. ამის უარსაყუფად შეგვიძლიან ჩვენ დაიხიზნათ „ეტიდენის“ თარგმანი.

მისი მთარგმნელი, რომელიც შეიძლება იმავე დროს რეჟისორიც იყო, ტენიკურს რჩევას აძლევს მსახიობებს ამა და იმ მოქმედებისა და მონოლოგის დროს თუ რომელი მსახიობი სად უნდა იდგეს და რა აკეთოს. მაგ.,—მთარგმნელისათვის განსაკუთრებით ეუფეტნიან ადგილი ყოფილა ავამეწონინის მიერ აქილესის მიღება და აქ ჩოლოყაშვილი მეტად ვრცლად ლაპარაკობს.

შემდეგ თუ თვითონ რასინს „ეტიდენის“ ორიგინალში არ მოეცა სცენის პეიზაჟი და ტრაგედია, პირდაპირ ავამეწონინის და არკაზის მონოლოგებით იწყება, დავით ჩოლოყაშვილი ალბად მსახიობთა სახეობმძღვანელოდ სცენის ვრცელს აწერილობას იძლევა.

**გამოცხადება ა.**

თეატრი წარმოადგენს მინდორზე სამსხვერპლოს, კალხაზ ღუმლით ილოკავს და აძმევს. ელვითა და ქუბილით იუბაწილი კაცის სახითა დღუგნით მოვა. კალხაზს გულშემოყრილს ეჩენება და ისევ ელვით და ქუბილით ამაღლდება და ფარდა დაეფარება.

**გამოცხადება ბ.**

თეატრი წარმოადგენს ზღვის კიდებე დაბმულ ხომალდს ატლანტის ზღვაზედ. ხომალდზე კარავს. კარავში ალამეწონი წინას პეუქდავს. არკაზის პირდაპირ სკაპუზდ ჰსიძინავს; აქა იქ სალდათები ჰყარიან, ალამეწონი აღიძებებს არკაზს. (მოქმედება დამთავრდა)

\* ცაგაროვი. Сведения ХLI.

\*\*] იხ. ვ. კ. ს. მუხ. ხელნაწ. გიორგი ავალიშვილისა და საისტ. საენდ. მუხ. ხელნაწ. № 89 გადაწერილი დავით უგნატის ძის თუმანიშვილის მიერ 1814 წელს.

აქვე უნდა შეინიშნოთ, რომ „ეტიდენის“ ქართულად გადმოღება ერთი წლით წინ უსწრებს რუსულს: „Пенгения, трагедия в пяти действиях, на русском языке свободно переложившаяся с господина Расина Москва 1796 г.“ ცაგ.

აქ დოკუმენტალურად ნაჩვენებია ხმარება კლუ რაციციონის, ფარდის და ორკესტრის. ამასთანავე ნომერი მუსიკალური პროკამიდან: სეგა-მუხტაღი.

მაშასადამე, აქ უკვე ნაფულისხმევია თეატრი ევროპული გავებით, ტენიკის ყველა ატრიბუტებით. თეატრი, სადაც დაიდგებოდა ევროპილი ფსევდო-კლასიკები და არა თეატრი ცის ქვეშ, სადაც, შეიძლება მხოლოდ სასულიერო მისტერიების დადგმა.

რასინი ქართულ სცენაზედ, ერთხელ კიდევ დასტურებს თეატრის არსებობას უფრო ადრეულ ეპოქაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარეშე ყოველი თეატრალური ტრადიციებისა, რასინის პირდაპირი შემოტანა მაშინდელ ქართულ სინამდვილეში წარმოუდგენელია.

თეატრალურ კულტურის სრული წარმოდგენისათვის მომყავს „ეტიდენის“ პერსონაჟები:

**ტრადელია ეტიდენია.**

**მოქმედნი პირნი:**

ალამეწონი მეფე ბერქენია და წინამძღვარი ოცის მეფისა. მომადელი ტრადელის ქალაქის საბრძოლველად, ექვს თვე უჭარობით ზღვის პირზედ დგას.

ულისე მეფე ბერქენია, მამა თელემიკისა. ახილეს მეფე და გპირი.

არკაზ მახლობელი ალამეწონისა.

კალხაზ ქურუმი, ვინა მღვდელმთავარი კებათა.

დედოფალი კლიტემნესტრა.

ეტიდენი ასული ალამეწონისა და დედოფლისა.

მოახლენი

კარისკაცი

პაეი

მხედარი

მგალობლები

სახანდრები


„სახანდრების“ შემოტანა რამოდენიმედ ქართულს კოლორიტს აძლევს რასინის ტრაგედიას, ასევე შესამწევია, როცა მთარგმნელი ავამეწონში თვით მეფე ირაკლის გულისხმობს: „შაიის მეფობის დიდებულებამ სათანო ირინა მოსწენებული ძლევა ახილესისა და დიდის შადლობითა მიითვალავს, რომ არა თუ პირველი იყო მიმდინარეობას შინა ამა ნდ წლისა მეფობისა მისის!“

საინტერესოა, რომ როგორც თვით რასინმა თავის ნაწარმოებში გამოიყენა ევრაილდეს „ეტიდენია ავლიდში“, მისი საფუძველით, ხოლო პერსონაჟებს მისცა „თანამედროვე გრძობები, ისევე გაიშვირა ჩოლოყაშვილმა სხვა მასშტაბით.

„ეტიდენის“ ლიტერატურული დახასიათებისთვის მომყავს მცირე ტექსტი „პირველი მოქმედების მეორე გამოცხადებიდან“:

ალამეწონი:

დაიხმე, დიადმე, ალამეწონ, მე ხელმწიფე შენი. მე დაქპირენ შენის უფიძლისა და მეგობრობისა.





არკაზ

ხელმოწიფე რა მიზეზმან ავასრობინათ მითვისათვის. ეგბა სანატროლი მოგესმა რამ ხმა, ან სასურველისა ნინავის სულმან მოგებრა და მის გაღვიძებამ გაგაღვიძათ. მაგრამ რა! კაცთა, ქართა და ნებტუნს სძინავს.

ალამენონ

არკაზ! შენ უნდა გასსოვდეს დედოფლისაგან შენისაგან და დედობრივი სიყვარული, რომელსაც მოწყალეობამ ჩემთან დაგაახლოვა და ყველაზედ მისანდობ მიმანდინიხარ, ბუნებით ვასხებელი. მოწყალეობა ერთგულდებთ გარდინაბდება, შენ უფრო მოვალე ხარ დედოფლის ერთგულებისა, ვინმე მთელი საბერძნეთი, შენ ვანდობ ამ საიდუმლოსა რომელი კაცი ბედნიერია და სიციცხლე ეფილენიისა გერწმუნება.

არკაზ

ხელმოწიფე, რა საიდუმლო! რა სიციცხლე! რა რწმუნება! მე ვხედავ მარადის თქვენს განათლებულს პირს შეწყუბებულსა, ხმისა მწყვეტელსა, თვალსა ცრემლიანსა! თქვენ იცნობთ ჩემს გულს. ასე როგორც სული ჩემ შორის! ჩემი თავი, სიციცხლე მოკლე ვსთქვა, სულიცა თქვენთვის დამიმონებია. იყავ ნება თქვენი მონისა თქვენისა ზედა, უბრძანე აღსრულებდა მზა ვარ\*.

სტილი ჩოლოაშვილის „იპილენიისა“ სახეებით დამახასიათებელია იმ ეპოქის კულტურის.

თვით რასინის მიღება კი ქართულ სცენაზე, არ არის შეუმთხვევითი. რასინის ვენბათა ტრაგედია ანტიური სიზოშვითი, პერსონაჟების აქტიობით, პეროიზმით, ყოველივე სანტიმენტულობის გარეშე, სრულიად მისაღები უნდა ყოფილიყო ჩვენი რასიული ბუნებისათვის, განსაკუთრებით სპარსული ყალბი რომანტიზმის შემდეგ\*.

ტრაგიული რეპერტუარიდან რასინის პიესის და ზემოაღნიშნული ავალიშვილის „თეიმურაზ II-ის“ (დაწ. 1785—1790) გარდა, მარი ბროსეს გადმოცემით, ცნობილია ეოლტერის „ავათიკლე“ პიეტის პეტრე ლარაძის თარგმანით. როგორც ავალიშვილის პიესა, ისე „ავათიკლე“ ჯერჯერობით არა სჩანს. უკანასკნელი გადმოღებულო უნდა იყოს რუსულიდან, რადგან პეტრე ლარაძემ ფრანგული არ იცოდა.

რაც შეეხება იმ „ქართულ კამედიებს“, რომლითაც ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, სტეპანობდენე თელავსა და ტფილისში, მისი ციკლიდან თითქმის არა დარჩენილა რა, გარდა გიორგი ავალიშვილის პიესისა „ძვირი და უხვის“ (ოთხანწილიედი), რომელიც სანატრერსოა სოციალური მოტივების შეხებში. მხედველობაში მისაღებია კიდევ ის პიესები, რომელთაც ასე იხსენიებდა პრიუფ. ალ. ცაგარელი. „V меня под ружьями в насто-

\*) სანატრერსა, რომ რობესპიერის დაცემის შემდეგ, დირექტორი და აცემის დროს, ფრანგული თეატრი ისევ დაუბრუნდა რასინს. რასინი ერთსა და იმავე დროს მიდიოდა პარიზის და თბილისის სცენაზე. 1799 წ. „კომედი ტრანსე“-ს რესტავრაცია დაიწყო რასინის „სიდი“-თ.

ящее время несколько оригинальных театральных пьес, сюжеты которых взяты из грузинской жизни и истории конца XVIII и начала XIX века, к сожалению, имена авторов и годы их написания не указаны\*\*).

რასინის და ეოლტერის ტრაგედიებთან ერთად უნდა აენიშნოთ სუმბაროკოვის თეატრი. ამ თარგმნილი კომედიებიდან ცნობილია: „დედა რაყიფი ქალისა“, „სახე უბარი“. „რქისმატარებელი“ და სხ.). ყველა ეს კომედიები გადმოღებულია გიორგი ავალიშვილის მიერ. უკანასკნელი პიესა თარგმნილია „იეგორეცკის კრეოსტში“ 1794 წელს, თებერვალში.

პირადათ მე გამოვსთქვამ ეჭვს, რომ ყველა პიესები დადგმულიყოს. XVIII საუკ. საქართველოში უკვე კითხულობენ ევროპულ რომანებსა და, ცხადია, დრამატული ფორმის ნაწერებიც გარეშე თეატრისა არ გამოირჩებოდა ჩვენს მკითხველში.

ძველი დრამატული ლიტერატურის ნაშთები უმეტესად უნდა ვეძიოთ რუსეთში გადხვეწილ სამეფო ოჯახის და ფეოდალების წიგნთ-საკაცებში.

სად იყო თეატრის სადგომი?

უპირველესად სასახლის ეკოტორიურ პალატებში, რომელშიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ვააკვირა ფრანგი შარდენი და რომელთა ბადალეო თანამედროვეების სიტყვით „ქრანშიც არა ყოფილა“.

მეორე სადგომი თეატრის უნდა ყოფილიყო „ნალახანა“ მოქცეული სასახლის ეზოში\*\*).

მესამე: ზუპირგანდომეციებით: ორბელიანების, მესხიშვილების და მელიქიშვილების სახლები.

მეთოთხე: ქარვასლაში ან კერძო სახლში. ეს იყო სა-

\*) ცაგარელი Сведения III.XXXIX.

\*\*\*) სასახლე მოთავებული იყო იქ, საცა დღეს ვიფ. საკათალიკოზო სასახლე „ნალარ ხანა“-ც მდებარეობდა სამხრეთით, სასახლის დღევანდელ ბაგრატიონის ქუჩაზედ.

აღსანიშნავია „ნალარ ხანის“ ანუ სამეფო ორცხტრის თანამშრომლობა თეატრში. ინტერმედების გარდა ისინი ასრულებდნ პიესების შესასაქურ ნაწილს.

დღემდის დატულია უკანასკნელი შტატი „ნალარ-ხანის“.

სამეფოისა ნალარ-ხანისა პირნი:

1. იოსებ ბართაშვილი, მოკლე 1811 წელს.
2. მედიანე იფანე კიტერისშვილი, დაეთო ოჯახავალაშვილი. ფილოლე ვიკორიძე და 4 სხვანი.
3. მეტეფი: სტეფანე ნორიელი. შოი ბორაშვილი, ქრისტესია კავთისბეველი.
4. მეხურენი: დათია ლოლაშვილი. პაატა მისხა-შვილი, არუთინა ტაგურის-შვილი და 3 სხვანი.
5. მეკოხი: პაულე სოხასშვილი. სოლომონ კუციელი... და ორი სხ.
6. მენალარე დაეთო ირემაშვილი, სესია. . როსტომ გელაშვილი
7. ტაბლაკი.
8. ჯამუჯიმი\* (პლატონ იოსელიანი... „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“. გვ. 305).

მათვე უნდა მივებათ მაშინდელი მექიანურე მესაკრავებები: შოი მექიანურე, დაეთო მეთარე, სათნავე, ალაჯა მომღერალი მირზაჯანა, ალავერდი, რომელთაც უმღეროდა გრაგოლე ორბელიანი.

ხალხო თეატრი, გაბრიელ მაიორის ანტრეპრენიორობით. შენახულა მისი შესასვლელი ბილეთი „ორშაურთან“ მხანველებელთათვის: „შაური ორი—გაბრიელ მაიორა“. ეს თეატრი უნდა იყოს ჩანასახი დღევანდელ სახალხო თეატრების.

მაგრამ გარდა ტფილისის სატახტო თეატრისა, პიპერადა არ იქნება, ვილაპარაკოთ პროვინციის თეატრზედაც, მით უმეტეს ჩვენ გვაქვს მცირე ცნობები თელავის თეატრის არსებობაზე.

არღვანაც ქართული ფეოდალები უმეტესად პროვინციებში ცხოვრობდნენ და ტფილისი მხოლოდ ადმინისტრატულულსა და კომერციულ ცენტრს წარმოადგენდა, ცხადია, რომ ისინი სასახლეში ნანახ საექტაქტლების მიზანძივით, მათ თავის ციხედარბაზებში ჰქარებდნენ. არ შევიძინოვლიან, ექვი არ გამოვსტევათ ორბელიანების, ამილახვრების, მუხრანბატონების, ანდრონიკაშვილების სასახლეებზე, რომ მათ არ ჰქონდათ მინიატურული კარის თეატრის მსგავსი, რომელშიც მონაწილეობდნენ თვით სასახლის წევრები.

ამიტომ შემთხვევითი არაა, აკაკი წერეთლის ცნობა 40 იან წლებს პროვინციალურ სასახლეებში გამართულ წარმოდგენებზე, რომელითა გაელენით, როგორც ბავში პოეტი ისე სხვები სწორდენ „კამედეოსა“ დარბაზში გვასათამაშებლად“. წარმოდგენებს ექვი არაა, ამ სასახლეებში თავისი ტრადიციები ჰქონდათ...

ვინ შეშენა კიროვანულ დრამატიულ სკოლა, ვინ შემოიტანა ფრანგული კლასიციზმის ესთეტიკა, ახალი დრამატიული სისტემები და პრინციპები.

ვინ არიან ჩვენი პირველი თეატრალეზები, დრამატურ გეგები, რეჟისორები?

ჩვენ არ გვაქვს საემოა ცნობა ამის გასანათებლად, მაგრამ ვიცით, რომ გიორგი ავალიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი. გაბრიელ მაიორი იყო ის ტრიუმფატორი, რომელმაც დასდგა და გააშენა ქართული თეატრი.

**I. გიორგი ავალიშვილი.**

დიპლომატი, (საქართველოს სამეფო დესპანი რუსეთის კარზე 1784—1801) პოეტი და დრამატურგი—დაიბადა 1769 წ. (იყო შვილი ივანე მეთარისა და ცოლისა მძა ცნობილის გარსევან ქავეჯავახისა) ეკუთვნოდა შტოს კახეთის ავალიშვილებისას, რომელნიც საშუალო საუკუნოებში მთავრობდნენ ბორჯომის „ხეობაში“ „მტკერის მთურავების“ ტიტულით და XVII შეეფარნენ კახეთს.

1783 წ. სულ ახალგაზრდა ავალიშვილი ჩარიცხულ იქნა მიდევან პეტერბურგის კარზე, გარსევან ქავეჯავახის დიპლომატიურ მისიაში, რომელსაც ტრაქტატისგან დადებული კავშირის გასამტკიცებლად შესაფერი გეგმა უნდა შეემუშავებინა. შემდეგ მას ვხვდებით საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელად ანუ „მინისტრად რუსეთისა კარსა“. მისი მონაწილეობით არის შედგენილი 1799 წლის „ახალი ტრაქტატი“ თავისი ვრცელი ნორტებით (პაველ I-ისი და გიორგი XIII-ის შორის). ტრაქტატის „აპრობაციის“ შემდეგ ავალიშვილი ახალგაზრდა დიპლომატი-შვილთან ერთად ბრუნდება საქართველოში ახალი მონ-

დობილობით. მასვე გ. ქავეჯავახსთან ერთად ჩამოეყვანა გიორგი XIII ინესტიტურა. (იყო ჭკვირიტი გიორგი—მე-17-ის, რომელიც ეტყობა: „შემწიფე მეცა და ნუ დამაზოგავ“). 1800 წ. ავალიშვილი ბრუნდება რუსეთში, ტრაქტატის საბოლოო რატოფიკაციისათვის და „ორივე მხრითი საიმპერატორო აქტის“ საზეიმო დამტკიცებისათვის. იმავე ხანებში ის წინადადებას აძლევს რუსეთის მთავრობას, რომ საქართველოში იმპერატორის მოადგილეთ იქნეს დადგინილი რომელიმე ბატონიშვილი და რაც უმთავრესია, საქართველოს საქმეების განხილვის დროს, მიღებულ იქნეს ქართველ დესპანთა რჩევა და თანხმობა, როგორც ქართველი სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლების. როგორც ვიცით, საორგანიზაციო აქტების დამუშავება მათ დაუტოვებელ მოხდა.

1801 წელს, გ. ავალიშვილს ვხვდებით პეტერბურგის კარზედ როგორც, მემკვიდრის დავითის და „საქართველოს“ წარმომადგენელს, თხოვნა იმპერატორისგან სანქციას დავითის მფუფიანისათვის, ამასთანავე „საიმპერატორო აქტის“ სადღესასწაულო ჩაბარებისათვის, მას მიჰყავს საქართველოდან დეპუტაცია ყველა წოდების წარმომადგენლებით.

იმავე წლის დეკემბერში, საქართველოს პოლიტიკური ლიკვიდაციის შემდეგ, ავალიშვილმა მიიღო უკანასკნელი აუდიენცია იმპერატორის. ამ დღიდან მისი დიპლომატიური კარიერა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

1802 წლიდან გ. ა. სიხვირობს თბილისს, მოსკოვს და პეტერბურგს. როგორც საუკეთესო მკოდენ რუსული და რამოდენიმედ ფრანგული ლიტერატურის, ის ეწევა ნაყოფიერს ლიტერატურულს შრომას, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ენერგია სასულიერო მწერლობაზე იკავრება.

ცნობილია მისი პოლიგრაფიკა პალესტინაში 1819 წელს, შემდეგი მარშრუტით: გორი, სურამი, ქუთაისი, სოხუმ-კალე, სევასტოპოლი, სიმფეროპოლი, ყვბატორია, კონსტანტინოპოლი, კონსტანტინოპოლი, ხიოსი, ალექსანდრია, ქაირო, ბაზა, რამლე, იერუსალიმი.

1820 წელს გამოდის იაფილან, ვაგელის კიროსს, ლენინის, ლევკოს, და მერსინიდან უკვე ხმელეთით, ტარსის, კესარიეს, აზრუმის და ყარსის გამოვლის შემდეგ ბრუნდება ტფილისში.

პოლიგრაფიის სასიოგარდ მან დასწერა მშვენიერი დღიური: „მეზავებთან თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუნქვევი იერუსალიმით თბილისამდე, კიპრის ქალაქისა, მცირისა აზიისა და ანატოლიისა ძლით“.

„მოგაზაურობა“ მართალია, დაწერილია, სხოლასტიკის სტილით, მაინც სანტერესისა დაკვირვებით, ერუდიციით, და სანტერესს ემიზიდებით\*).

დიპლომატიური კარიერის გარდა გიორგი ავალიშვილი თანამედროვეებისაგან ცნობილი იყო, როგორც „გარდამომღები რუსულითა ქართულად წიგნთა მრავალთა“ დრამატიული ნაწარების გარეშე, გარდა სუმაროკოვის თეატრის გადმოღებისა, მე ვიცი მისი თარგმანები და კომპილიაციები:

\* კარიში დაუფუფორდა ეგვიპტეს ფაშას, რომელმაც დიდებით მიიპატირა ხედივის სასახლეში.



- I პოლიდორ, ძე კადმისა ღარმონისა (1798).
- II „ველიზარია“ პიესა.
- III ცხოვრება კეთილმოქმედისა სცილიელისა ქალისა, ანუ შემთხვევითი მარკოზ ალბელინიასა (პეტერბურგი 1809).
- IV „ღმერთი“ ოდა დერჯავინისა (1811).
- VI ალექსანდრე (მაკედონელი) და მეუღლებანოვე კავკასიასა შინა\*
- VII წ. კ. სახ. მუხ. ვრცელი ლიტერატურული კრებული № 303.
- VIII წინასწარ თქმული ნეტარისა იერონიმე აღათანგელისა (1821).
- IX „ხმა“ ცოდვილისა ღმრთისადმი, იამბიკოდ თქმული მოსკოვი (1838).
- X ორი შოტლანდიური სათემო (პროვინციალური) სიმღერა.
- XI „ვედუქსია, ასული უბედურისა ველიზარისა.\*“
- XII იგავები.
- XIII 18 საუკუნის პოეტური ანტოლოგია.

როგორც ირკვევა, ავალიშვილის თეატრალობა მისი ცხოვრების პირველ პერიოდს ეკუთვნის, შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, გულმოდინებით ემსახურება კლერიკალურ მწერლობას.

მის ლიტერატურულ დამსახურებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა მისი დისწული, პოეტი ალექსანდრე ქავკაძე\*\*), ამასთან ის იყო მშვენიერი კალიგრაფი და აღმადგენელი ძველი ქართული წიგნების.

ვიოტივი ავალიშვილი გარდაიცვალა მოსკოვში დაახლოებით 1845—48 წლებში.

ასეთია მოკლე ცნობები იმ ადამიანის, რომლის ცხოვრება მიდიოდა ბრწყინვალე სასახლეებში და ჭორტუნამ კი სრულიად შემთხვევით არაგუნა სახელი პირველი ქართველი დრამატურგის, რომელმაც დასწერა პირველი ორიგინალური პიესები: „თეიმურაზ მეორე“ და „ძვირი და უხვი“.

**II. დავით ჩოლოყაშვილი**

ერთ ერთი ექსპერიმენტატორი ქართული თეატრის იყო დავით ჩოლოყაშვილი. მან პირველმა შემოიტანა ფრანგული კლასიკური დრამა რასინისა. შესანიშნავია, რომ დრამა რასინის აღზრდილი საფრანგეთის ბრწყინვალე კარზედ, საქართველოშიც მხოლოდ სასახლის სტუმრია.

დავით ჩოლოყაშვილი, ანუ როგორც იყო მასინ ცნობილი—ჯიმურისშვილი დამება 1734 წელს\*\*), გარდაიცვალა დაახლოებით 1810—15 წლებში\*\*\*), ის იყო ცნობილი პოეტი სასულიერო და ეროტიული ლექსების. დღეს ეს წარმოუდგენელია, მაგრამ აწინაირი პოეტური დღეაღზენი მასინ არ იყო გასაკვირალო. თუმცა მისი „საწინასწარ-

მეტყველო წიგნი „იობის“ და „ფსალმუნების“ კლესიოტი გადაღება ჩემის აზრით, მისი ცხოვრების პირველ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

მან შესანიშნავად იცოდა როგორც აზიური ისე ევროპული ენები და ვფიქრობ, რომ განათლება ევროპაში უნდა მიეღოს, მხოლოდ საქართველოში შეუძლებელი იყო ევროპული დიდი კულტურის შეთვისება, მან დასწერა ოლიმპის ღმერთების გენეალოგია, დასწერა აგრეთვე სხვა თხზულებანიც, რადგანაც თანამედროვეთა სიტყვით ის იყო „დიდათ ნიკეპული სიტყვითა და მწერლობითა“. მაგრამ საქართველო დასახლებული იყო ვოლტერისანებით და ეს მიმართულება თითქმის თავის ლიდერად დავით ჯიმურისშვილს ითვლიდა:

ის აღმოჩნდება რუსოსს, ვოლტერს და ახდენდა ქართული საზოგადოების ერთგვარ დეფორმაციას. როგორც ვოლტერიანი ებრძოდა სამეფელოებს დაუზოგველად. ცნობილია მისი პარადოქსები და აფორიზმები ფრანგული მისხმებით, ცნობილია მისი „სარკაზმი, რომლისაც თვით მეფეს ეშინოდა.

ბოდიშს მოვიხილ, თუ გადუხვევ, მაგრამ მაშინდელი გონებრივი მოძრაობისთვის, როცა ჩვენი ძველი თეატრიც ყვაობდა, ეკრძოდ ჩოლოყაშვილის ბოიარფისთვისაც საინტერესოა მისი სატირული და ათეისტური დიალოგები „კალმასობის“ ავტორთან, ბერ ხელაშვილთან: იოანე მ მდივანებს: თუ თქვენი მოძღვარი იყო უწინ, ახლა რად გამოგეცვლიათ.

დავითმან: მე აღსარებაში უთხარ ერთი ცოდო. ამან მიხიარ: შუა ჯოჯოხეთშია მაგ ცოდვის პატირონიო. მე ესთხოვე საკანონო დამდევით, ეგების გავენთავისუფლდე და შორს დამიშვი. მერეთ უთხარ, მოდი ერთის კიდევ ვიქმ იმ ცოდვასა, ეგება ნაპირზე გამომაგდოსო და ამაზედ გამიწყრა და არაა მათქვენია აღსარება.

იოანე.... ეხლა ვინა გყავთ მოძღვარი.

დავით თა ეუჯოემე წინამძღვარი.

იოანე ის უფრო შორს დაგიჭერს მაგ გვარს ცოდვებს და გვონებ მალე გაუშოთ ერთმანეთო.

დავითმა არა, როდის გეტყვი. მე ჩემ თავს დია მართალ კაცად ვაჩვენებ, რომ ბატონისა კარგი ყმა არს და ჩემსას კარგს მოხსენებას დაუჯერებენ, რადან ჩემი მოძღვარია.

იოანე უი, ჩემ თავს! და ეგ რა აღსარება არს, ეს არა სჯობს, რომ სულ ყოველთვის კარგად იქცეოდით და არ ვერაგობდით და ყრვი საბარალო ბერს ატყუებდით.

დავით თა ხანდისხან სადივანგობას წილსა დაუღებ ბოლმე და ამითაც ავიღებ შენდობას.

იოანე წსწორო სამართლისას, თუ მრუდისას?

დავით თა ქართლში სად არის მსწორო სამართალი, როგორც იყოს უნდა გაეაწინაწილოთ საქმე.

იოანე და რადან ამგვარი მოსამართლობაც დაეგწყყავათ, და იმ ცოდვამაც ბრძანდებოთ, რალა იმედით ახვალთ სასუფეველიო.

დავით თა ბერო, მე ცხონება და წაწყმენდა არა მწყამს.

იოანე მაშ პირუტყვი ყოფილხართ.

\*) იხ. უნივერსიტეტის საისტ.-საეთნ. და წ. კ. მუხ. წიგნთსაცავები.

\*\*\*) მანვე გაუწილათ 20-იანი წლების ქართველი ლიტერატორი ივანე მურთაღვი.

\*\*\*\*) თვითონ დავით ამბობს „კალმასობაში“ 1799 წელს: „მე დიად დღვრებელი ვარ, სამოცდახუთის წლისა“ვარ.“

და ვით მ ა პირუტყვთანაც მაქვს ზიარება.

მე შენი ქადაგებით არ მოაქეცევი, მე მეტოლოლია (მი-  
თოლოლია) მისწავლია და მე გამოვციდი, თუ კარგად გან-  
მიმართავ, მერე სხვა მომღერბასაც შემივადლები.

შემდეგ დავითი ხანგრძლივ ელაპარაკება იოანე ხე-  
ლაშვილს მითოლოგიაზე: (სატურნი, იუსტიტრ, ნებტუნ,  
პლუტონ, იუნონა, ცერერა, რეია, იანია, ჰიგანტები  
ცხრანი მუნხი, აპოლონი, მინერვა, მარსი, ვენერა, კუპი-  
დონ, გრაკიები, მოიები, ვულკანი, ეოლა, აკვილონ, ზო-  
რეი, ზეფირი, ჰვეერი, ბახუსი, მერკური, ვესტალეები, ცი-  
ბელა, იაზონ და მედეია, თეზეი, ჰექტორი და სხვა).

„მაშინ დავითმან აქო იოანე და უთხრა: ახლა კი  
ვირწმუნებ შენს ქადაგებას თუ ჩემი ზოდვარი დასტურს  
მომცემს.

იოანე რომელს მოძღვარს ბრძანებთ, ექვთიმეს თუ  
სხვაეც გვავეთ ვინმე?

და ვით მ ა არსენი თბილელი.

იოანე უო ჩემს თავს, რამდენი მოძღვარი გყოლიათ.

და ვით მ ან მე რადან ბევრის ცოდვის მომქმედი  
ვარ, სამი მოძღვარი მყავს. ერთი მღვდელი მეოვრ არქი-  
მანდრიტი, მესამე ეპისკოპოსი, რომ ეს სამნი ძლიე მოერე-  
ვიან ჩემს ცოდვას, რომ ზიონი და მეოთხე შენ იქნები  
როდესაც მთავარ ღიაკვანდ ეკურთხები და დანაშევის  
ცოდვას შენ აკვილებ.

ზურაბა ბატონო დიანბეგ, მართლა კარგი სა-  
ხედარი უშოვეთ თქვენს ბარგს, თუარ ის, ვერავინ ატა-  
რებს.

და ვით მ ა თუ ჯერ ვახედილია მართლად შეი-  
ძლება.

ზურაბა ვახედილი რად იქნება რექტორის ხელში  
ვაზდილი და ახლა ფიცხელაურს ბერთან მყოფი. ვკონებ  
ზურგიც ჰქონდა წამხადარი.

და ვით მ ან მაგისტოის ექვი არ უნდა!... \* )

დავით ჩლოკაშვილი ცნობილი იყო როგორც „სი-  
ტყვა მარჯვე და კაალად აბტიკალად მწერალი.“

ირაკლი მეფის გარდაცვალების მეორე დღეს, იგი  
დაიბარა ახლად გამეფებულმა გიორგი XIII-ემ და უბრძა-  
ნა მას ვაგეეთებინა ოქმის ბეჭდის წარწერა. მაგრამ ის  
დიდს პოლიტიკურ პიროვნებასაც წარმოადგენდა. ის იყო  
სენატორი, სახელმწიფო მრჩეველი, ანუ როგორც მაშინ  
იტყოდნენ „სამეფოს მღვანეზე“. მისი მონაწილეობით  
და თარგმანებით მიდიოდა თითქმის ყოველი ტრაქტა-  
ტები და რელიაკიები, რომელთაც ირაკლი II და ვანსა-  
კუთრებით გიორგი XIII რუსეთის იმპერატორებს უგზავ-  
ნიდნენ. არა ნაკლებ როლს თამაშობდა საქართველოს  
რუსეთთან შეერთების საკითხში თუქცა ის რუსეთის ორი-  
ენტაციას არ იზიარებდა\*\*).

\*) კალმასობა გვ. 292-309.  
) 1802 წლიდან რუსებმა მისცეს მილიციის მაიორობა და  
მისიანდს ვახტანგის კანონების ვადალება რუსულად, რომლის დასრუ-  
ლება სკიფილის ვაჟი ვიდარ მოუხდა. მანვე ე. ჩუბინაშვილთან თა-  
ნამშრომლობით სთარგმნა რუსულიდან: „Учреждение о губер-  
ниях“, (1806) „Городовое положение“, „Постановление для  
выбираемых из грузин в усадьне казначей“ (1807) 5. ჩუბი-  
ნაშვილის დღიურიდან. Сведения, III გვ. 12.

მაგრამ ჩვენ გვიანტრეყებს იგი, როგორც ოტუსტაქსა  
ლი, რომელმაც მელპომენას ნაციონალური კაცარა მი-  
აკრა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა „ეპილე-  
ნიამ“ მაგრამ ევეი არაა, მას უნდა ჰქონდეს სხვა თარ-  
გმანებიც, შეიძლება ორიგინალური პიესებიც. ის იყო  
ერთერთი თეატრალური ხელმძღვანელი. ეპილენიდა-  
ნაც“ აშქარა ხდება, რომ იგი რეესიორობდა სხენეულ  
პიესას.

III ვაბრიელ მაიორი.

ვინ იყო ვაბრიელ მაიორი?

მისი ბიოგრაფიული დეტალები ჩვენ არ ვიცით,  
მაგრამ ვიცით, რომ ის ყოფილა სიყვარულს მოქალაქე,  
რომ სახელი „მაიორი“ მხოლოდ სიყვარულში და პატი-  
ვისციემის მიქმული იყო. „მაიორს“ იცნობდა მთელი  
საქართველო.

ექვი არაა, ის უნდა იყოს არისტოკრატიიდან, წი-  
ნაღმდეგ შემთხვევაში, მაშინ მას მაიორობას არავინ  
მისცემდა...

გარდა ამისა, მაიორი მოხსენებულა იონა ხელა-  
შვილის ლიტერატურული პანიონში („მცირე უწყება  
ქართველთა მწერალთათვის“), რუმბოკაში, რომელსაც  
აქვს სთათური: „რომელსამე თავადთა დროსა მეფისა  
თემიურთა და ირაკლისასა“. შესაძლებელიც არი მფევი  
გაათავად, როგორც მაშინდელი დიდებულები: სოლომონ  
მდივანბეგი (ლეონიძე) და იესე მიქაძე მსაჯული (ბარა-  
თაშვილად და ფელანდოშვილად).

ვითი კიდევ შემდეგ ცნობა, დაცული იმავე ხე-  
ლაშვილის „უწყებაში“: „შემდგომად ამისა (ფელდცენ-  
მისტერის და თომზიბაშის პაატა ანდრონიკაშვილის) და-  
ავდინა ვაბრიელ სომეხი, ამისაც კარგად იცოდა არტი-  
ლერია და ესე მითურთ თანასთ მეფის ირაკლისა წინა-  
შე დაიხიციენ აღამამთხანის ბრძოლასა შინა“\*). აქედან  
ირკვევა, რომ ვაბრიელი ტომი სომეხი ყოფილა.

არის გადმოცემა, რომ უპირველესად ის მსახურობდა  
რუსეთის არმიას, საიდანაც არტილერის მაიორის ჩინით  
დაბრუნებულა, რის შემდეგაც მისთვის ჩაუბარებიათ  
საქართველოში არტილერია\*\*).

გადმოცემა მისი რუსეთში ყოფნის შესახებ, შეიძ-  
ლება დავადასტუროთ პოეტის ბესიკის და მირიან ბატო-  
ნიშვილის მიწერ-მოწერიდან (კრემენჩუგ-ელიზავეტრადი,  
14 ოქტომბერი და 13 დეკ. 1788), რომელიც დაწერილია  
ეპისტოლარული ფორმით. სინან რომ ჩვენი „მაიორი“  
ყოფილა „კუკუსისი ლინიაზედ“, სადაც იყენენ: მირიანი,  
ბესიკი, მწერალი ვაიოს ნაცელიშვილი და სხ.

რაც უფრო სანეტყველსა, მაიორი ყოფილა ბესიკ-  
თან ერთად ქ. კრემენჩუგში.

აღწერს რა კრემენჩუგის საზოგადოებას, ბესიკი მი-  
რიან ბატონიშვილთან მიწერილ ეპისტოლემში იხსენიებს  
„მაიორსაც“:

აიოს, თეოს, აიოს, ამას ხმოებს ვაიოს,  
სტეფანა უტარაკუტებს, შეაწყნოს ტაღის ხმაოს,

\*) მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ იონა ხელა-  
შვილისა. გვ. 48.  
) 1780 წლიდან თბილისში არსებობდა ევროპული ტექნი-  
კო მოწოდებით ზარბაზნებისა და ყუმბარების ჩამოსამსმელი ქარ-  
ხები.



მაიორს ზილი წილად ხვდა, უსულით სულის დგმაიოს, ბასისტად მანუარ გვრგვინავს, ყვავის ხმით ვალად ვიოს!

აქ მოხსენებულა ეპისკოპოსი გაიოზის წირვა, სადაც გალობენ: მაიორი ზილით და მანუარ ბასით.

როგორი ელასტიური და ყველასთვის საყვარელი პიროვნება ყოფილა „მაიორი“ ეს სჩანს მირიანის საპასუხო ეპისტოლიდან:

„სხვა რიგად მშვიდობითა ვართ, ავათა გვაყავს ერთიკ არა“

პაპამ სახელი იშოვა, ტანხედ გარდაიცო ხარა, გორდინიად განაწესეს, მიაბარეს ქუჩა-მარა, მაიორი რას აქეთებს, რისთვის აქეთ არ ემზავება?“.

„მტომელს, მფრინავს ვითა ქორსა, სალამს ვკადრებ მაიორსა.“\*)

გაბრიელ მაიორის ბიოგრაფიულ ცნობებს უნდა დაუმტკობთ ალექსანდრე ორბელიანის სიტყვებიც: „თუ-ღავში და თბილისში ქართულ კომედიებზეც თამაშობდნენ მეფე ერეკლეს დროში, რომლისაცა გამართელი იყო გაბრიელ მაიორი.“ \*\*)

როგორც ზემოდ გავიგეთ და როგორც ადასტურებს ირაკლის მდივანბები და ისტორიკოსი ომან ხერხელიძე, მაიორი დაღუპულა თამაზ მაჩაბელთან ერთად კრწანისის ომში 1795 წელს.

ვეფქობთ, რომ იგი მწერალიც ყოფილა; ამის დამამტკიცებელია მისი ყოფნა მწერალთა საზოგადოებაში: (ბესიკი, ბატონიშვილი მირიან, გაიოზ ნაცვლიშვილი) შემდეგ „მცირე უწყების“ ავტორი არ შეიყვანდა მას თავის კრებულში, სადაც იხსენიებს გეოგრაფს ვახუშტისთან, პოეტებთან დიმიტრი ბაგრატიონთან და ვახტანგ ორბელიანთან (პირველის) ერთად.

ემკი არაა, მისი ლიტერატურული ანარი იქნებოდა — დამამტკიცებელი მწერლობა და თუ „უწყების“ ავტორი, ბერი ხელაშვილი მას პირდაპირ არ იხსენიებს თეატრალად, დრამატურგად, ეს მისთვის, რომ თითონ სასულიერო პირია, ხოლო მისი თხზულება კი, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას, გამზადებულია პეტერბურგის მიტროპოლიტისადმი. ცხადია, აქ ლაპარაკი გაბრიელის თეატრალობაზედ, უხერხული და ზედამეტო იქნებოდა...

სამოციან წლებში, მწერალს ალექსანდრე ორბელიანს ჰქონდა დაცული სახლში მაიორის თეატრის შესავლელი ბილეთი. პატარა ლურჯს ქაღალდზე ემკადა:

„მუთრი ორი, გაბრიელ მაიორი.“\*\*\*)

ეს მეტად საგულისხმო მასალა გვაფიქრებინებს რომ გაბრიელ მაიორის თეატრი ყოფილა სრულ ევროპული ორგანიზაციით, სადაც პარტერი, როგორც ეხლა ყოფილა დანიხრული ფასებით.

ვინ იყო გაბრიელი?

რეესიორი, ანტრეპნერიორი? შეიძლება ორივე ერთად. ჩვენ ეჭვი არ გვაპარება, რომ ის იყო დრამატურგიც, თუმცა მისი დრამატიული ნაწერები ჯერჯერობით არა სჩანს. შეიძლება იგი მის თეატრთან ერთად დაიღუპა 1795 წელს, შეიძლება არ სჩანს იმ მიზეზითაც, რომ მრავალი ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში ჯერ მთლიანად არ არის შემოკრფილი...

რა ხასიათის იყო მაიორის თეატრი, ვინ შედიოდა მის დასში, რას თამაშობდნენ?

უნდა ვიფიქროთ, რომ მისი თეატრი თავისი ტუნებით, ორგანიზაციით იყო ნამდვილი, რეალური და არა შემთხვევითი ანუ მეფის „უსესტკევი“ თეატრი. იგი იყო დემოკრატიული, სადაც განსაკუთრებით „მდაბიო“ წოდება დადიოდა. მაშასადამე მისი რეპერტუარიც სრულიად შეფარდებული იქნებოდა თავის აუდიტორიასთან.

ამიტომ აქ ადგილი არ ექნებოდა ფრანგ კლასიკებს, (ნაწილობრივ შეიძლება სუმარაკოვის თეატრს) თავისი მაღალი რიტორიკით, მით უმეტეს არც სასულიერო მისტერებში, რომელია არსებობა ირაკლის ეპოქაში შეტრიალებულ მიმანჩია.

უმეტესად აქ უნდა ყოფილიყო ორგანიზაციული კომედიები, თავის პრიმატიულ ფორმებში, აქ უნდა მომხდარიყო ამ ანარის სრული კრიტიკალიზაცია.

თუ შესაძლებელია, მაშინდელს საქართველოში წარმოვიდგინოთ თეატრი, — პოლიტიკური როლის მატარებელი, იგი უსათუოდ მაიორის თეატრი უნდა ყოფილიყო, რომელსაც თავის ბიჭებში და ინტერმედიებში უნდა შეეტანა გულუბრყვილო მიზეზად თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური წყობილების.

ეს შეიძლება იმ ფაქტითაც დავადასტუროთ, რომ გაბრიელ მაიორი ყოფილა ნამდვილი მეგობარი ხალხის: მუსამარლოე, მრჩეველი, ექმნი და სხვა. რასაკლებელია, იგი უფრო ახლოს იცნობდა ქართულ „მდაბიოთა“. კლასს, ვიდრე ირაკლის ტრიანონის დრამატურგები, რომლებიც მანერ ლეგიტიმისტები და რეპეტიციონერები იყვნენ. ცხადია, მას ჰქონდა შეძლება დამახასიათებელი და „სამხილვებელ“ სცენები ხალხის ცხოვრებიდან თავის თეატრში შეეტანა.

ამიტომ მაიორის მსახიობი, ქვეშაირტად იყო „სარაკი და შემოკლებული ქრინიკა თავისი საუკუნის“...

\*) წ. კ. სავ. მუხ ბელსაქ № 3723.

\*\*) ალ. ორბელიანის ნაწერები. ტფილისი 1879. გვ. 126

\*\*\*) 50 იან წლებში იგი განუხილავს „კავკაზში“ ნ. ბერძენოვს, რომელიც ჩვენ ვერ ვხვებით.

IV დავით რექტორი.

მე XVIII საუკუნეში, როცა საქართველო ჯერ კიდევ ქრისტიანულ ასკეტიზმის ცენტრი იყო, მეტად ორიგინალურს და რელიგიურ პიროვნებას შეხედებით. ეს არის დავით რექტორი—მესხიშვილი.

ეს იყო სასულიერო პირი, თანაც რექტორი ანუ „სხოლასპეტი“ თელავის სემინარიისა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს შეეღწინა ქართული დეკამერონი „თიმსარიანი“, სადაც ის საქართველოში შენახულ ეროტიული ტრადიციების მიხედვით, უმატებს საკუთარს, არა ნაკლებ მკვეთრს ადგილებს.

ის იყო ფილოსოფოსი, „გონებამკვეთი, კარგი მესხიერი, მწერალი მშენებრი, უცხო ისტორიკოსი“, კალიგრაფი, რომელმაც ათასი წიგნი გადასწერა, მაგრამ იმავე დროს, ის იყო კომიკი „ცუკია“ იმ სექტიდან, ვისი ზეგები, კალამურები, მადრეალები და სატირები აღუღებდნენ მიეთლ საქართველოს. ის სწერდა ცინიკურს, პორნოგრაფიულ ლექსებს, რეულის, ფისტიაჟურის, შიარის ზომით და უჯზავნიდა სასახლის ქალებს, თვით ბატონიშვილებს... აი როგორ ახასიათებს მას ერთი ბატონიშვილთაგანი. კლერიკალურად განწყობილი, ირაკლი მეფის ასული მარიამი:

„დაბრძანდი მიწის სკამზედა გვერდით მოსიცი ცუკია, უსჯულო, ულთო, წარმართი, პლუტი, გაქნილი ცრუ კია, აყვია, ლაშვბე განთხზული ვირზედა შესაკუკია...“

მისი ეპიგრამებით, აღტაცებაში მოდიოდნენ ვინც აღმერთებდა და ქმნიდა ჭემახილობის კულტს.

ცნობილია მისი მუსტაჟაბედა, მუხამაზებები, თახმისები და სხვა ეროტიული ლექსები სპარსული მოტივებით, მაგრამ მისი პიროვნება სრულად არ იქნება წარმოადგენილი, თუ არ გაიცნობთ დავით რექტორს, როგორც დრამატულს აქტიორს ირაკლის თეატრისას.

აქიმებო ოოლოლი, ამას ყუიის ოოლოლი, რას მიკითხავ ჭურღობას, კარგად მომდის ეს

როლი...“

აქებდა თავის აქტიორობას, ეს შორეული წინაპარი ლადო მესხიშვილის.\*

მაშინ ეს არ იყო სენსაცია; იყო მხოლოდ მოდა, რომელსაც უნდა გაეტა ეს დაუდგომელი ადამიანი.

ჩვენ არ ვიცით მისი როლები, მისი ამბობა, მაგრამ ვიცით მისი დრამატული გემოვნება: მას დიდი მზრუნველობა აქვს გადაწყვიროს რასინი, ვოლტერი, კორნელი. მისი სახელი უსათუოდ უნდა შევიდეს ქართული თეატრის ისტორიაში...

V ოსებ ამერიძე

ასეთივე ძვივურაა მღვდელი ოსებ ამერიძე, არტისტი და პოეტი. ამნაირი პერსონაჟებით უზენა ყველაფრით

\*) უკანასკნელის წინაპარად უნდა ჩათვალოს მღვდელი სოფრომ მესხიშვილი, ავტორი ისტორიული დრამის „ყვარავნა ათაბი“, რომელიც მიითვისა გიორგი ერისთავმა.

მდიდარი და ორიგინალური, ქართული XVIII საუკუნე, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. მღვდელი ამერიძე თეატრის და პოეზიაში ცნობილია „ქეშიშვილი-დინანდის“ სახელით. ის სწერდა სამღერაო ლექსებს სპარსულ ხმებზე, რომელიც თავის დროზე პოპულარული იყო არა ერთხელ შემხვედრია მგელს პოეტურ ანტოლოგებში მისი ლექსები: „რასტის ვეზზე“, „შეშტარ მუხამაზების ხმაზედ“, „გვიგულსენ სანიალაის ხმაზედ“.

მაგალითად: „ლაწვთა ხალ-ინდად ყრილსა.

ა. „შვილდთა ქამანდ შეყრილსა“.

ბ. „სევდისა წალოტს გასაჰურტელად გაშლია ვარდი, შალი, შალია.

გ. „აეხაზე ბაგენი, შეუყო სახე, ოჰ სიამოვნე“

დ. „ჰი ვარდო, სოსანო, მიჯნურო, იმედთა არეს დაამაყო, დიკოთა სხივთ სახემთვარეო, ოდეს იყნოსი ნარგიზთ არეო, ბაგისა ლაწვნო, ლალთა ნარეო“ და სხ.\*

ქეშიშვილიმანდის მუხამაზებებს მღეროდნენ იმ წლებშიც, მღეროდნენ ისეთივე ენებით და სიტკბოებით. ჩემი წერილის პირველ ნაწილში უკვე ვახსენე აქტიორი „ქეშიშვილი-დინანი“, რომელსაც სცენაზე გამოსვლას უკრძალავს სასტიკი პრინციპალი. მე არ ვიცი, რითი გაათავდა მათი ბრძოლა, მაგრამ სიმპტომატურია მაშინდელ ქართული არისტოკრატიისთვის, რომ ორბელიანების სასახლე ითმენდა ისეთ მოძღვარს, რომელიც ერთნაირად ემსახურებოდა თეატრს და ეკლესიას...

VI ბატონიშვილი დავით.

უახლოესი თანამშრომელი ქართული თეატრის, ყოფილია საქართველოს ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავით—ცნობილი ნეკიკოპაღისტი, ცხარე ვოლტერიანი, პოეტი და მეცნიერი.

სრულიად არ უნდა იყოს საეჭვო ის გადმოცემა, რომ რუსეთში ყოფნის დროს, დავით ბატონიშვილი სწერდა ქართულ კომედიებს და ტფილისში დინასტიის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა სასახლის შინაურულ წარმოდგენებზე. კონკრეტული ცნობები ჩვენ ამის შესახებ ახლა გვაქვს, მაგრამ კაცი, რომელიც იყო უკიდურესი ეგროპელი და ხანგრძლივი ნაყოფი ეკატერინე II-ის კარზედ შეუფუძლებელია არ ყოფილიყოს თეატრის ახლოს... მან დასწერა ქართული ისტორია, შეადგინა მრავალი სახელმძღვანელოები, სთარგმნა ვოლტერი, მონტესკიე და ეჯიბრებოდა ბ.სკიის მუხამაზებს.

მან როგორც სანტიმენტალისტმა და პოეტმა ერთ დღეს დაკარგა გვირგვინი და სამშობლო. შემდეგ ის საჩესტილოდ მღეროდა:

„რა იქნება, ჩვენც ვიყვეთ სენატორი, სტუპაკი ბეგან თუ არის ორატორი, ქრისტეფორე ტფილისის დირექტორი, თავადი გიორგი რუისტიტატორი, პეტრე მისი მამაპაპის სასწორო...“

\*) მაგ. წ. კ. სახ. მუხ. კრებული № 1512, 3723.



დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა რუსეთში 1819 წელს...

VII. ბესიკი.

ერთ-ერთი თეატრალი უნდა ყოფილიყო ბესიკიც ეს „ქართული იუვენალი“, რომელზედაც სწიოდა ჩვენს სამღვდელეობა:

„გაბაანთვან აღმობრწყინდა  
დღეს ახალი ანტერქოსტე,  
დავეიხსენი ამასავან  
უფალო იესო ქრისტე“...

ეს იყო ერთადერთი პოეტი, რომელიც თავისი პიროვნებით, თავისი გაბედულობით აკვირებდა თანამედროვეებს, აწინებდა სასახლეს თავისი შხამიანი სტრიქონებით, თავისი ეროტიული პოეზიით...

მაშინდელს ინტერმედიებში ალბად ისმოდა მისი სიმღერა:

„ზუნდოვანს გულსა შენ აღმიჩინდ დაარადა,  
ალარ უწყი რად გამწირე და რადა  
თავი ჩემი თვით მოვანდ შენდა მე,  
ნაცვლათ მისსა გულს მახვილი შენ დამე“

„ბესიკი სიკვდილს არ ვემაღები,  
თავი მაქვს მისთვის შენაწინებია!..“

ჩვენ უკვე შევხვდით ბესიკის სახელს გაბრიელ მაიორთან. ისინი მეგობრები ყოფილან, შეუძლებელია სცენაზედაც ერთად არ ყოფილიყვნენ.

თუ წარმოუდგენელია მაშინდელი თბილისი, მაშინდელი სასახლე უბესიკოდ, რადგანაც ის იყო სული თბილისის beau monde-ის, წარმოუდგენელი უნდა იყოს მაშინდელი თეატრიც, გარეშე ბესიკ გაბაშვილისა...

ირაკლის თეატრის მესამე პერიოდი, მართალია, ინერციით გასტანს 1840-იან წლებამდე, მაგრამ სისტემით, სტრლით, იდეოლოგიით თითქმის არ შეცვლილა. იგივე ტრადიციული სიუჟეტები, ვარაიციები, სცენიური კომბინაციები, იგივე ვოლტერის რეპერტუარი.. განსხვავება რამოფენიმედ ტენიკურ საკითხებშია: იგი მოკლებულია პროფესიონალ დასს, საკუთარ სადგომს და მხოლოდ „ოჯახის“ და სცენის მოყვარეების თეატრი.

მაგრამ ამ პერიოდში თეატრს ჰქონდა თავისი ევოლუცია. მისი პულისს მიმკმეი იყო ალექსანდრე პეკუპიძე.

მას შემოაქვს გაფართოებული რეპერტუარი ვოლტერის, რასინის, კორნელის. „ზაირა“, „ალზირა“— ვოლტერის, „ცინა“, „ედიპი“, „სიდა“— კორნელის, „ესთერი“— რასინის. რასაკვირვლია, არ უნდა ვიფიქროთ რომ თითოეული მათიანი იყოს დადგმული.. გასული საუკუნის ოციან წლებში თეატრალური ინტერესები ისევ ცხოველდება. ახალგაზრდობა ოჯახებში აწყობს ქართულს და ხანდახან რუსულ საექვებებს. არ ივიწყებენ სცენას ძველი, „გადარჩენილი კომბინატიებიც“.

1882 წლის ამბოხებამ ისევ გაუანტა ქართული თეატრი, თუმცა ოჯახებში სდგავდნენ რუსულად გრიბოედლის „Поле от чужа“-ს.

1835 წელს თბილისში არ არსებობდა მქიძრო ორგანიზული ქა-თული საზოგადოება, ქართული საზოგადოებებიც აზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა. ერთი სიტყვით „არ იყო არაფერი“, ასე ამბობს ბარათაშვილის ბიოგრაფი. ასევე სწივის თითონ პოეტი: „ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“.

მაგრამ იგივე ბარათაშვილი სთარგმნის ლეიზეიცის ტრაგედიას, „ვოლიოს ტარენტელს“, დმიტრი ყიფიანი შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“, მიხეილ თუმანიშვილი სწერს ორიგინალურ პიესებს.

როგორც ბარათაშვილის წერილიდან ირკვევა თბილისში არსებობდა ქართული დრამატიული წრე, რომელმაც ერთს კრებზე განიხილა მისი თარგმანი და მოიწონა. „ჩვენმა განათლებულმა ქალებმა, ასე გასინჯე, იტირის“. — როგორც თვით იწერება“).

მაგრამ საქართველო დგება ახალს თეატრალურს ნილაბში. ჩნდებიან ნოვატორები, გადიან რეპეტიციებს, აღარ მოსწონთ ძველი დრამატურგიული პოეტკა და ემზადებიან შესვდნენ უკვე წამოსულ „გლუხარისის“ თეატრს, რომელიც თავის მზრივ არის ტრანსსფორმაცია ძველი ქართული კომედიების.

გიორგი ლენინძე.

\* მაშინდელ პროფესიონალურ მწერლობიდან ჩემთვის ცნობილია I ქ ა ნ ა ტ ი ხ მ ა ანუ მამად წინასწარმეტყველი. ტრაგედია ხუთს მოქმედებას შინა ვოლტერისა მიერ, თარგმნილი ფრანგულიდან ივენ ზუბალოვის მიერ 1846 წელსა, ქალ. გორს“.

II ქ ა ლ ა ა დ ე ჲ კ ა ტ ი ს ა, ანუ სიყვარული მამისა და ვალი მოქალაქისა დრამა ორს მოქმედებას შინა, თარგმნილი ივენ ზუბალოვის მიერ“.

III ტ ყ ვ ი ლ უ ბ რ ა ლ ო დ ვაი ვაგლაზი. კომედია შექსპირისა. თარგმნილი ინგლისურიდან.

IV ტ რ ა დ ე დ ი ა ო ტ ე ჲ ო ს ი, გადმოთარგმნილი რუსულიდან ქართულად 1844 წელსა ს-მეჯვრისხევში, ერისთავის მიერ.

V ვ ა ყ რ ა თ ა ვ ა დ თ ა, კომედია 5 მოქმ თხზულება თავადის №16. იხ. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის: №16 ნაწ. 721, 1084; 2659.